# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№25 (9.984)

17 - 24 ივლისი, 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## „მიმაჩნია, რომ კარგი ინფრასტრუქტურის მოწყობა მიგრაციის შეჩერების წინაპირობაა"...

დედოფლისწყაროში მთავარ გამოწვევად, წლებია, წყალმომარაგების საკითხი დგას. რა ეტაპზეა წყალმომარაგების ახალი პროექტის მიმდინარეობის სამუშაოები და რა პროგრამების განხორციელებაა დაგეგმილი მუნიციპალიტეტში? ამის შესახებ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გვესაუბრება.

**-დედოფლისწყაროს მოსახლეობას ყოველ ზაფხულს აწუხებს უწყლობის საკითხი. ხალხი ამბობს, რომ ეს პრობლემა ყველა ხელისუფლების აქილევსის ქუსლად იქცა, მის მოგვარებას წლებია, ელიან, მაგრამ ამაოდ. საქართველოს მთავრობის დაფინანსებით უკვე დაიწყო პროექტი, რომელიც ამ პრობლემის მოგვარებას ისახავს მიზნად. რა ეტაპზეა ივრიდან წყლის ამოყვანის სამუშაოები?**

ნიკოლოზ ჯანიაშვილი - ეს დედოფლისწყაროსთვის ისტორიულად იყო სერიოზული პრობლემა. ბოლო წლებია, ყოველწლიურად უარესდებოდა სიტუაცია, იქიდან გამომდინარე, რომ გაიზარდა აბონენტთა რაოდენობა, გაიზარდა წყლის მოხმარება, მაგრამ შემცირდა არსებული დებეტის რაოდენობა. და წელსაც, თუ ავიღებთ ბოლო 7-8 წლის მონაცემებს, ყველაზე ნაკლებია, ანუ ისტორიულ მინიმუმზეა ჩამოსული წყლის დებეტი.

ამ პრობლემის გადასაჭრელად უკვე სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა - საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით მოხერხდა ის, რომ მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახლა მიმდინარეობს 24 საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებისთვის განკუთვნილი პროექტები. მთავრობამ გამოყო 70 მილიონ ლარზე მეტი გასული წლის ბოლოსთვის, შედგა ტენდერები - 4 ლოტად არის დაყოფილი მუნიციპალიტეტი. ოთხივე ტენდერში გამარჯვებული გამოვლენილია. ეს ტენდერი ითვალისწინებდა ე.წ. „დიზაინ ბილდის მოდელს", რაც იმას გულისხმობს, რომ პროექტის შედგენასა და შემდგომ მშენებლობაზეც ერთი და იგივე კომპანია იქნებოდა პასუხისმგებელი. ამით დაიზოგება როგორც დრო, რომელიც ახალი ტენდერის გამართვისას უნდა დაკარგულიყო, ასევე პროექტირებისას დაშვებულ ხარვეზებზე პრეტენზიებსაც ავცდებით, რომელზეც ხშირად აპელირებდნენ ხოლმე სამშენებლო კომპანიები.

მოგეხსენებათ, ამ ბოლო წლებში, რაც ქართული ოცნებაა ხელისუფლებაში, საკმაოდ ბევრი თანხის გამოყოფა ხდება ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. სამწუხაროდ, არცთუ ბევრი კომპანია ოპერირებს საქართველოში, რომელიც ამ სამუშაოებს დაპირებულ ვადებში ხარისხიანად შეასრულებს. ეს სერიოზული პრობლემაა ჩვენთვის. ვაწყდებით სირთულეს მაშინაც, როცა მშენებელი ჩივის, რომ პროექტირებაზე მომუშავე კომპანიამ სერიოზული შეცდომა დაუშვა... ამიტომ ის გზა, რომელიც ჩვენ წყალმომარაგების სისტემის მშენებლობისას გავითვალისწინეთ და სატენდერო პირობებში ჩავდეთ, იყო ის, რომ პროექტირებაც და სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაც ერთსა და იმავე კომპანიას აეღო თავის თავზე.

როგორც გითხარით, ეს სამუშაოები მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარეობს და ამ საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების ამოცანაა, რომ ყველა სოფელი და, მათ შორის, ქალაქი დედოფლისწყარო, იყოს უზრუნველყოფილი 24-საათიანი უწყვეტი და, რაც მთავარია, ხარისხიანი წყალმომარაგებით.

დღეის მდგომარეობით, უშუალოდ ქ. დედოფლისწყაროზე ორი ტენდერია გამოცხადებული და შემდგარი. ერთი ითვალისწინებს მდინარე ივრიდან, დალის წყალსაცავიდან წყლის მილების ამოყვანას ქალაქის ცენტრალურ რეზერვუარამდე და შუალედურ ადგილას წყალსაქაჩის მოწყობას, მეორე პროექტი კი ითვალისწინებს ელექტროენერგიის ჩაყვანას ადგილამდე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს წყლის მოწოდება. ორივეგან გამარჯვებული კომპანია ერთი და იგივეა. რაც შეეხება ელექტროენერგიის ჩაყვანის სამუშაოებს, ამის პროექტირება უკვე დასრულებულია და პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს სამუშაოებიც, ანუ, დენის ჩაყვანა დაწყებულია, ელექტროგადამცემი ბოძების მონტაჟი ხდება. ამ პროცესებში აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტი, რადგან სამუშაოები მიმდინარეობს 40 კილომეტრის რადიუსში და მოსახლეების კერძო საკუთრებაში ხდება ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა, ასევე წყალგაყვანილობის მილების გატარებაც ამავე ტერიტორიაზე უნდა მოხდეს. ადამიანთა დიდი ნაწილი ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე, გაგებით ეკიდება ამ საკითხს, მაგრამ იმ მცირე შემთხვევების დროს, როცა



რომელიმეს რაღაც პრეტენზია აქვს, საქმეში დედოფლისწყაროს მერია ერთვება და პრობლემაც გვარდება. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს გაგებისა და გვერდში დგომისათვის.

ელექტროენერგიის ჩაყვანის პროცესი აქტიურ ფაზაშია, რაც შეეხება წყლის ამოყვანის საკითხს-პროექტირების ეტაპი დამთავრებულია, მიმდინარეობს შეთანხმება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან და უახლოეს პერიოდში, სულ რამოდენიმე კვირაში, უშუალოდ დაიწყება წყლის ამოყვანის სამუშაოები.

მომავალში უფრო დეტალურ ინფორმაციას მოგაწვდით როგორც ქალაქ დედოფლისწყაროს, ასევე სოფლებში მიმდინარე წყალმომარაგების გაუმჯობესების პროექტებზე.

მინდა, ჩვენს მოსახლეობას მოთმინებისთვის მადლობა გადავუხადო. სულ ცოტა დაგვრჩა და მალე ერთად ვიზეიმებთ უწყლობის ეპოქის დასასრულს ჩვენს მუნიციპალიტეტში. მანამდე კი, განსაკუთრებით მრავალბინიან კორპუსებში და იმ უბნებში, სადაც წყალი არ მიდის, მაქსიმალურად ვცდილობთ, დავეხმაროთ მოსახლეობას და წყლის დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით ამ ადგილებს რამდენიმე წყალმზიდი ემსახურება, რომელთაგან 3 მუნიციპალიტეტმა გადასცა წყალმომარაგების კომპანიას.

**-მოსახლეობა ამბობს, რომ ერთი მხრივ სჯერა ოფიციალური ვერსიის, რომლის თანახმადაც წყლის დებეტი არასაკმარისია, მაგრამ მეორე მხრივ, ხედავენ, რომ წყალი იყიდება. მათ სერიოზული ეჭვი უჩნდებათ, რომ ერთგვარი ბიზნეს-ქსელი არსებობს, საიდანაც ყველა ხელს ითბობს. თქვენ რას იტყოდით მოსახლეობის ამ ბრალდებაზე?**

-ჩვენ მონიტორინგიც განვახორციელეთ და ერთი რამის თქმა თამამად შემიძლია - დედოფლისწყაროში წყალი არ იყიდება! ვიცი, საუბარია ე.წ. „მაზოვკის წყალზე", საიდანაც ხდება წყლის გატანა. როდესაც რეზერვუარი სავსეა, მისი განლაგება ისეთია, რომ ყველა კორპუსსა თუ უბანს წყალი მიეწოდება, მაგრამ როგორც კი რეზერვუარი გაიხსნება და წყლის მოხმარებას იწყებს ყველა, (წყლის მოხმარება ზაფხულში ძალიანაა გაზრდილი), სწრაფად ხდება რეზერვუარის დონის დაცემა, არსებული წყლის მარაგი საკმარისი არ არის, რომ მეორე ან მესამე დღისთვის რეზერვუარი შეივსოს. შესაბამისად, რეზერვუარი ბოლომდე არ ივსება, წნევა არ ყოფნის და ვერ მიდის ყველგან. შესაბამისად, იმ წყაროდან ხდება 4 წყალმზიდის ავსება და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის დარიგება.

**-ხალხი ამბობს, რომ იქნებ უმჯობესი იქნებოდა ამ წყლის რეზერვით ცენტრალური რეზერვუარის შევსება და არა წყლის ასეთი ფორმით გატანა?**

-ვერ დაგეთანხმებით. ამ წყაროზე (ე.წ. მაზოვკის წყარო) მიდიან მოქალაქეები, რომელთაც სჭირდებათ წყალი სასმელად. მათ ამას ვერავინ აუკრძალავს. რაც შეეხება რეზერვუარის ამ წყლით შევსებას-აქ საუბარია დღეში მაქსიმუმ 70-100 ტონა წყლის გატანაზე. მინდა მარტივი არითმეტიკა მოვიშველიო და გითხრათ, რომ ეს რაოდენობა ზღვაში წვეთია რეზერვუარისთვის, რომლის ტევადობაც 6 ათას ტონას შეადგენს.

### სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ...

დედოფლისწყაროში ინფრასტრუქტურული პროექტები მუდმივად ხორციელდება. „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა მოგვარდა, რომელიც დედოფლისწყაროელებს განსაკუთრებულად აწუხებდა, მათ შორისაა საავადმყოფოს და სოფლების ბუნებრივი აირით უზრუნველყოფის, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღებისა და სკოლების პროექტები, რომ აღარაფერი ვთქვათ გზების მშენებლობასა და რეაბილიტაციაზე. ამჯერად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, რეგიონების კეთილმოწყობის პროექტი გამოცხადდა. ამ პროგრამის ფარგლებში, უკვე დაიწყო ქ. დედოფლისწყაროს მრავალბინიანი კორპუსის რეაბილიტაცია. მოკლე ხანში ეს სამუშაოები მასშტაბურ ხასიათს მიიღებს და ქალაქის ცენტრი განახლებული და ლამაზი იერით ყველას გაახარებს. ეს მხოლოდ გარეგნული, ფასადური სახის რეაბილიტაცია არაა, ეს გავლენას იქონიებს ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობაზე, ტურისტული გარემოს გამოცოცხლებაზე...

ეს პროექტი ითვალისწინებს რუსთაველის ქუჩის სრულ რეაბილიტაციას, საუბარია საცხოვრებელ კორპუსებზე, ტროტუარებზე, განათების სისტემაზე... ჰერეთის ქუჩაზე არსებული მრავალბინიანი სახლების აღდგენითი სამუშაოები ჩატარდება, რა თქმა უნდა, ამ პროექტის ნაწილია შინმოუსვლელთა მემორიალის სრული აღდგენაც.

შემდეგ ნომრებში ჩვენ გვექნება საშუალება მოსახლეობას ვაჩვენოთ რეაბილიტირებული დედოფლისწყაროს მაკეტი.

ამ პროექტის გარდა, რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები გრძელდება. ამ დღეებში მშენებელთან ერთად მოვიარე დაწყებული პროექტები, ზემო მაჩხაანში მე-19 უბნის და მიმდებარე ქუჩის რეაბილიტაცია უკვე დაწყებულია, ოზაანში ჩვენ გაზაფხულზე დავასრულეთ ამაღლების ეკლესიასთან მისასვლელი გზის აღდგენა, წელს იწყება ერთ-ერთი ქუჩის ასფალტო-ბეტონით მოწყობა,

*/გაგრძელება გვ.3/*

C M Y K

# ზაზა გახელაძე თავისუფალია

ცხინვალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე პატიმრობაში მყოფი ზაზა გახელაძე თავისუფალია. მან ოკუპირებული ტერიტორია უკვე დატოვა.

ნეიტრალურ ტერიტორიაზე ჩასულები იყვნენ საქართველოს პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი და შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური. შიდა ქართლში უკანონოდ დაკავებული ზაზა გახელაძე ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტმა, ანატოლი ბიბილოვმა შეიწყალა. ბიბილოვის ბრძანება დღეს გამოქვეყნდა და დღეიდანვე მოქმედია. **„გათავისუფლდეს იგი შემდგომი პატიმრობისგან",** - ვკითხულობთ დოკუმენტში.

11 ივლისს 1 წელი გახდა, რაც ზაზა გახელაძე დე ფაქტო ცხინვალის რეჟიმის მიერ უკანონო ტყვეობაში იმყოფება. რამდენიმე კვირის წინ ზაზა გახელაძის გათავისუფლების თხოვნით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს წერილი გაუგზავნა. „მოგმართავთ თხოვნით, უშუამდგომლოთ გახელაძე ზ.მ-ს, რათა იგი პატიმრობიდან გაათავისუფლონ და ოჯახს დაუბრუნდეს. კარგად გვესმის, რომ ეს რთული საკითხია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ გახელაძე იქ გაუცნობიერებლად მოხვდა. მისი გათავისუფლება იქნება სიხარულის მომტანი მთელი ქართველი ხალხისათვის, რომელიც გულითადად თანაუგრძნობს მას ამ გაუგებრობის გამო", - ეწერა წერილში.

გახელაძის ოჯახის წევრებმა მხოლოდ ერთხელ შეძლეს მოენახულებინათ ცხინვალის ციხეში წითელი ჯვრის ჩართულობით. რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო უზენაესმა სასამართლომ ზაზა გახელაძეს 12 წლით და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

საოკუპაციო ძალების მიერ გასული წლის ზაფხულში დაკავებულ გახელაძეს დე ფაქტო ხელისუფლებამ ბრალი წაუყენა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით - „სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა" და „სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა".

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ჭალის მცხოვრები ზაზა გახელაძე საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა 2020 წლის 11 ივლისს, სხვილოს ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, ცეცხლსასროლი იარაღით ფეხში დაჭრეს და დააკავეს.




# დედოფლისწყაროში ვენახების რეგისტრაცია და საკადასტრო ინფორმაციის განახლება დაიწყო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ვენახების რეგისტრაცია და საკადასტრო ინფორმაციის განახლება დაიწყო:

ვენახების სარეგისტრაციო უბნები განთავსებულია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში:

ფიროსმანი, სამთაწყარო, არხილოსკალო და ზემო ქედი, უახლოეს დღეებში დაემატება ახალი ლოკაციები.

2021 წლიდან, რთველის დროს, ვენახების საკადასტრო ამონაწერის გარეშე, მევენახე ღვინის საწარმოს ყურძენს ვერ ჩააბარებს.

ვენახების რეგისტრაცია და კადასტრის ამონაწერით მოსავლის ჩაბარება ყველა მევენახისთვის სავალდებულო გახდა. განახლება სავალდებულოა ვენახთან დაკავშირებული ცვლილებების შემთხვევებში - ყიდვა-გაყიდვა, გაქირავება, გაჩუქება, გაშენება ან ამოძირკვა.

მევენახემ სარეგისტრაციო უბნებზე უნდა წარადგინოს მხოლოდ პირადობის მოწმობა, საკადასტრო ამონაწერის მიღება უფასოა.

ფერმერებს ვენახების რეგისტრაცია და ვენახის საკადასტრო ინფორმაციის განახლება ასევე მიმდინარეობს ყვარელში, გურჯაანში, სიღნაღში, თელავში, ახმეტაში და ალნიშნული მუნიციპალიტეტების სოფლებში განთავსებულ სარეგისტრაციო უბნებში. ლაგოდეხისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში რეგისტრაცია უახლოეს დღეებში დაიწყება.

ვენახების კადასტრის პროგრამასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზს - 1501 დაუკავშირდნენ.



# სახიფათო თამაშები

## როცა ღიმილსაც სიკვდილის სუნი აქვს...

„არაფერია ახალი ამ ცისქვეშეთში"- ამბობს ეკლესიასტე. არაფერია ახალი ადამიანთა ცხოვრებაში-ამბობს ისტორია. ყველანი ერთ წრეზე ვბრუნავთ და ყოველ ჯერზე გვგონია, რომ ახალს ვქმნით, გვიხარია ჩვენივე აღმოჩენების, ახალი გამოგონებების...

„ყოველი ახალი კარგად დავიწყებული ძველია"-თავს გვახსენებს ძველი სიბრძნე.

ისტორიული წრეხაზი საათის ციფერბლატზე გზას ნელა მიიკვლევს და ბებერ მეხსიერებას ავარჯიშებს: ეს ხომ უკვე იყო, რამდენიმე ათასი, ან, სულაც ათეული წლის წინ...

ცხოვრება ბრძოლაა, ბრძოლა ბოროტსა და კეთილს შორის. ადამიანები მუდმივ ომში ვართ და ვებრძვით ჩვენივე ამპარტავნებას, შიშებს, შურს,გულგრილობას, სიყვარულის უკმარისობას...

ამ ომში გვახსენდება სამყაროს შემოქმედიც, ოღონდ უფრო მაშინ, როცა გვჭირდება მისი დახმარება. ლოცვებსაც ვიხსენებთ და ეკლესიაშიც მთელი გულით დავდივართ, მანამდე, სანამ შველა გვჭირდება, სანამ ღმერთის ძალა გვჭირდება.

მანამდე კი, ძალაუფლებისა და სიმდიდრის ხიბლში ჩავარდნილები, ხშირად ჩვენივე უძლეველობას ვირწმუნებთ და თავი გვგონია სამყაროს შემოქმედიც. აკი ზარატუსტრაც ნიცშეს ხმით ჩაგვჩურჩულებს: „ღმერთი მოკვდა, გაუმარჯოს ზეკაცს"...

ამ ბიძგს ვერ უძლებს ყველა. იწყება საყოველთაო რბოლა პირველობის მოსაპოვებლად, საკუთარი ძლიერების დასამტკიცებლად. რა არის ამაში ცუდი?-იკითხავს ბევრი. ადამიანის შესაძლებლობებს ხომ საზღვარი არ აქვს. მისი გონებრივი პოტენციალი უსაზღვროა. ეს ყველაფერი კარგია მანამ, სანამ მას ულმერთობის შტამპი არ ახლავს.

მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც სხვას სჭირდება ჩვენი სიყვარული და თანადგომა? მაშინ გულგრილები ვხდებით, ღმერთს არა, მაგრამ მის მოძღვრებას ვივიწყებთ, ან მხოლოდ ის ნაწილი გვახსოვს, რაც გვჭირდება ჩვენი საქციელის გასამართლებლად. ვივიწყებთ ქრისტიანულ მორალსაც და ჩვენი უპირატესობის დასამტკიცებლად, არც სუსტების დაჩაგვრას ვერიდებით, არც მათი, ვინც უმცირესობაშია. მთავარია, ჩვენი ტრადიციები დავიცვათ, თუნდაც ვილაცის შეურაცხყოფის ან სიკვდილის ფასად. „ქართველობას გვართმევენ, სარწმუნოებას გვიგინებენ"-ამ არგუმენტებით გავდივართ ბრძოლის ველზე და ... „ჰკა მაგათაო"-ყიჟინის ფონზე გვგონია, რომ საუკუნეების მიღმა მომხვდურებს ხმლით ვჩეხავთ...

„გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა მოყვასი შენი"-ამბობს უფალი. „ყველა ადამიანი თანასწორია ..."-წერია კონსტიტუციაში, ქვეყნის უმთავრეს კანონში. მაგრამ...

ამ ყველაფერს ფასი ეკარგება, როცა საქმე უცხოს ეხება, იმას, ვინც და რაც ჩვენთვის მიუღებელია, რაზეც ჯერ ისევ ჩურჩულით ლაპარაკობენ...

ვიცით, ბევრი ნიჭიერი და კარგი პროფესიონალი ყოფილა სხვანაირი სექსუალური ორიენტაციის, უცხო, მაგრამ მაინც ჩვენიანი... ამაზეც მუდმივად ჩურჩულით ვსაუბრობდით, ისე, მარტო ჩვენში...

დაფარული და ტაბუირებული თემა გაიხსნა. ვილაცებმა ამაზე არა მარტო საუბარი, „უცხოების" უფლებების დაცვაც მოინდომეს.

ამ პოლარიზებულ საზოგადოებაში ყველაფერმა პოლიტიკური ელფერი მიიღო, მათ შორის ცისარტყელამაც... და „გეი აღლუმი" გადაიქცა ურთიერთ სიძულვილის გამოვლინების ველად, სადაც ერთმანეთს გამეტებით ურტყამდნენ




ქართველები, მიუხედავად მათი ორიენტაციისა...

ყველაფერი აირია. მუშტი ბევრს მოხვდა. ყველაზე მეტად ჟურნალისტებს.

ვილაცებმა გადაწყვიტეს, რომ „უცხო" მათ შორისაც ბევრი იყო. ამიტომ ჯავრი იყარეს მათზეც და კამერებზეც. ქალის პატივისცემაც დაივიწყეს. ისიც, რომ ჟურნალისტი ომშიც კი ხელშეუხებელია.

დამტვრეული კამერები და სახედასისხლიანებული რეპორტიორები რამდენიმე დღეში გათიშულმა მაუწყებლობამ და გარდაცვლილი ოპერატორის სამძიმარმა შეცვალა...

აქაც დაიწყო საზოგადოებამ „უცხოს" ძიება. დამნაშავის ძებნა იქ, სადაც ეს არ უნდა ეძებნა, რასაც არ უნდა შეხებოდა...

ქართული ტრადიცია მიცვალებულს პატივს მიაგებს. „მასზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერსო"-ცნობილი ფრაზა ამჯერადაც დავივიწყეთ. დავივიწყეთ, რომ მედია ჩვენი, ყველას სარკეა და, ამჯერადაც ამ სარკეში ჩაგვახედა. თუ იქ ბევრ „უცხოს" ვხედავთ, ეს მარტო ტელევიზიების დამსახურება არაა, ჩვენც მიგვიძღვის ამაში წვლილი...

* * *

გადის დრო. ისევე მეორდება მოვლენები, როგორც ჩვეულებრივი დრო საათისათვის, რომელიც თავის საქმეს აკეთებს და სულაც არ ანაღვლებს, რომ დროის მდინარებას თან მიაქვს ადამიანთა სიხარული, სევდა და სიცოცხლე...

„ყოველ საზოგადოებას აქვს თავისი სუსტი წერტილები... დაადეთ თითი ჭრილობას და ძალუმად დააწექით... ილაპარაკეთ სიკვდილზე და დავიწყებაზე, შურზე, გულგრილობაზე, იმედის გაცრუებაზე, სიყვარულის უკმარისობაზე. იყავით ამაზრზენი და იქნებით მართალი..."წერს მიშელ უელბეკი წიგნში-"ბრძოლის ველის განვრცობა". მე არ მინდა, ვცხოვრობდე ასეთ საზოგადოებაში, თქვენ?

ინგა შიოლაშვილი

# „ მიმაჩნია, რომ კარგი ინფრასტრუქტურის მოწყობა მიგრაციის შეჩერების წინაპირობაა“...

*/დასაწყისი პირველი გვერდიდან/*

არბოშიკში ე.წ. „უთრუთაანთ უბნის“ წყალმომარაგების სისტემის და გზის რეაბილიტაციაც დაიწყება. არბოშიკთან მიმართებით მინდა ვთქვა, რომ ამ სოფელს დიდი ყურადღება მივაქციეთ, რაც მე ძალიან მახარებს. ორი წლის წინ, „გოგაანთ უბანში“ განვახორციელეთ სარეაბილიტაციო სამუშაოები, სასაფლაომდე მისასვლელი გზა მოეწყო, ცენტრალური მოედანი რეაბილიტირდა და განათების სისტემაც მოეწყო. ჩვენი მიდგომაა, რომ სოფელში ცხოვრება გაუმჯობესდეს და აქ არსებული პირობებით ისინი ქალაქს გაუთანაბრდეს.

გამარჯვებაში მიმდინარეობს „ჯიჯიაანთ უბნის“ გზის კეთილმოწყობის სამუშაოები; ხორნაბუჯში 2 პროექტი მიმდინარეობს. ერთი არწივის ხეობასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციაა, რომელიც მხოლოდ ხორნაბუჯის ინფრასტრუქტურის მოწყობასთან არაა კავშირში, ის მთელი მუნიციპალიტეტის ინტერესს წარმოადგენს, ხოლო მეორე-ლერმონტოვის ქუჩის კეთილმოწყობაა. უახლოეს დღეებში დაიწყება სამრეკლოში გამოტოვებული უბნების, ზემო ქედში ქსნელების უბნის, არხილოსკალოს, ქვემო ქედის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. რაც შეეხება ალაზნისპირა სოფლებს-სამთაწყაროს, ფიროსმანსა და საბათლოს, აქ წელს დაგეგმილია წყალგაყვანილობის სისტემის მოწყობის სამუშაოები. ამიტომ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ამ სოფლებში მოგვიანებით დაიწყება.

**-ძალიან კარგია, როცა ამდენი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება, საბავშვო ბაღებისა და სკოლების შენობები თანამედროვე სტანდარტებს აკმაყოფილებს, მაგრამ როდესაც მოსახლეობის მიგრაცია ასე მზარდია, საკითხავია, ვისთვის კეთდება ამდენი პროექტი, როცა სოფლები დაცლის პირასაა?**

-მიგრაციული პროცესები არის ძალიან კომპლექსური. რამდენიმე წლის წინ პოლონეთში ვიყავი და მთელი პოლონეთი ტიროდა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა და მომავალი თაობა, ვისაც შრომა შეუძლია, ინგლისში და ამერიკაშია წასული. ეს მსოფლიო მასშტაბის პრობლემაა. ეს ყოველთვის ყბადაღებულ უმუშევრობის თემასთან არაა დაკავშირებული, ყოველ შემთხვევაში ჩვენი რაიონის მაგალითზე, რადგან აქაური ფერმერები მუდმივად ჩივიან მუშახელის დეფიციტზე. ზოგისთვის შიდა მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ ის, რომ საბავშვო ბაღებსა და სკოლებში არ იყო ის პირობები, რომ ბავშვები აქ ეტარებინათ და შესაბამისი განათლება მიეღოთ. ახლა სოფლებში ყველა პირობაა შექმნილი ბავშვებისათვის უსაფრთხო გარემოსა და კარგი განათლების მისაღებად.







ზოგადად, მიმაჩნია, რომ კარგი ინფრასტრუქტურის მოწყობა, გაზიფიცირება, წყალგაყვანილობის სისტემის მოწყობა, ინტერნეტიზაცია განაპირობებს მიგრაციის შეჩერებას და რეგიონებში ხალხის დამაგრებას. მოგეხსენებათ, უამრავი პროგრამა არსებობს სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე ადამიანებისთვის. მათი სიკეთით ბევრმა დედოფლისწყაროელმა ისარგებლა.

რამდენიმე ოჯახი უკვე დაუბრუნდა ჩვენს რაიონს. სოფელი ფიროსმანი ამისი ნათელი მაგალითია. სარწყავი სისტემის აღდგენისა და ახალი ვენახების გაშენების შემდეგ 17 ოჯახი დაბრუნდა უკან. ჩვენ 3 წლის წინ მოგვიხდა ახალი საბავშვო ბაღის შენობის მოწყობა, რადგან ძველი ბაღის შენობა აღსაზრდელთა გაზრდილ რაოდენობას ვეღარ იტევდა.

საზღვრების გახსნა და გლობალური პროცესები თავისას აკეთებს. ამას ვერავის შეაჩერებს. ახალგაზრდა ადამიანს ბევრი ინტერესი აქვს. ამიტომ მისი წასვლა საზღვარგარეთ და იქ სწავლის მიღება ცუდი სულაც არაა. ჩვენი მიზანია, რომ კარგი და განათლებული ახალგაზრდობა უკან დაბრუნდეს.

ამიტომ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ადამიანებს ცხოვრების ნორმალური პირობები შევუქმნათ. ვიქრობ, ეს მიგრაციის შეჩერების წინაპირობაა.

**ესაუბრა**
ინგა შიოლაშვილი

# გაუარესებული კოვიდ-სტატისტიკა და ახალი რეგულაციები

ბოლო რამდენიმე კვირაა, საქართველოში ეპიდემიოლოგიური სიტუაცია მძიმდება, იმატებს ინფიცირებულთა რიცხვი, რომელიც 1000-ს სცდება.

16 ივლისის მონაცემებით, საქართველოში კორონავირუსის 1653 ახალი შემთხვევა დადასტურდა. ბოლო 24 საათში ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა 34 800 კვლევა ტესტით.

გასულ დღე-ღამეში საქართველოში 13 ადამიანი გარდაიცვალა კოვიდით.

ამ ეტაპზე ქვეყანაში კოვიდით ინფიცირების 15 888 აქტიური შემთხვევაა, 4 001 ადამიანი მკურნალობს საავადმყოფოში. 10 871 პირი ვირუსის მკურნალობის კურსს გადის საცხოვრებელ ბინაზე.

15 ივლისის მდგომარეობით, დადებითობის დღიური მაჩვენებელი არის 4.75 %, ბოლო 14 დღის მანძილზე — 4.31% ხოლო 7 დღის მანძილზე — 4.67%.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2021 წლის 19 ივლისიდან იკრძალება ბანაკის ტიპის შეკრებები, მათი ორგანიზაციული ფორმისა და ჩატარების ადგილის მიუხედავად.

„18 წლამდე ასაკის მოზარდების სპორტული ტურნირებისა და სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების ჩატარება კი, დასაშვებია მხოლოდ ყველა მონაწილის წინასწარი PCR ტესტირების საფუძველზე.“

შესაბამისი ცვლილება მთავრობამ „იზოლაციისა და კარანტინის წესებში“ შეიტანა.

ამ წესებს დაემატა ასევე ახალი მუხლი, რომლის მიხედვითაც ტრენინგზე, კონფერენციასა თუ სემინარზე მონაწილეთა დასწრება დასაშვებია ასევე მხოლოდ წინასწარი PCR ტესტირების საფუძველზე.

ამასთან, ასეთი ღონისძიებების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის განცხადებით, კორონავირუსის გამო დაწესებული შეზღუდვების მოხსნა საქართველოში ნაჩქარევად მოხდა. ამის შესახებ გამყრელიძემ მედიის წარმომადგენლებისთვის გამართულ ვებინარზე განაცხადა.

თუმცა, როგორც მან აღნიშნა, ქვეყნის ეკონომიკისთვის საჭირო იყო გარკვეული თავისუფლება.

„შეზღუდვების მოხსნა საქართველოში ძალიან სწრაფად მოხდა. სამწუხაროდ, ჩვენ ვიჩქარეთ შემსუბუქება. მოგეხსენებათ, რომ სამედიცინო მხარე, ექიმები საბჭოზე ვართ უფრო რადიკალურები ყოველთვის, ვიდრე ეკონომიკური მხარე. ისიც გასაგებია, რომ ქვეყნის ეკონომიკისთვის საჭირო იყო გარკვეული თავისუფლება, რომ ეკონომიკას ამოესუნთქა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესს. ამიტომ ჯერდება იქ ყველა წინადადება და შემდეგ ვცდილობთ „ოქროს შუალედით“ იყოს გადაწყვეტილებები მიღებული. მაგრამ გეთანხმებით, რომ შეზღუდვების მოხსნა მთელი რიგი მიმართულებებით იყო დაჩქარებული“, - განაცხადა გამყრელიძემ.

***



მომატებულ სტატისტიკასთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი მიმართვას ავრცელებს:

„მოგახსენებთ, რომ ბოლო დღეებში მოიმატა covid-19-ით ინფიცირებულთა რაოდენობამ. პანდემიის პერიოდში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სულ აღრიცხულია 1099 კოვიდინფიცირებული. მათ შორის 2020 წელს - 667, 2021წ-423. მიმდინარე კვირას, 12 ივლისი-დან -16 ივლისის ჩათვლით 37 ინფიცირების შემთხვევაა დაფიქსირებული. ასეთი მომატებული რაოდენობა გამოწვეულია არსებული რეკომენდაციების დაუცველობით. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ და მოგიწოდებთ:

1.დაიცავით დისტანცია;

2.გაიკეთეთ ნიღაბი დახურულ სივრცეში;

3. დაიცავით ხელის ჰიგიენა;

4. ჩაიტარეთ კოვიდ საწინააღმდეგო ვაქცინაცია;

5.ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფმა პირებმა დაიცავით თვითიზოლაციის წესი.

ეს ძალიან მნიშვნელოვანია დაავადების გავრცელების შესაჩერებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში მდგომარეობა ძალიან გართულდება.

გაცნობებთ 16 ივლისის მდგომარეობას: 1099 ინფიცირებულიდან გამოჯანმრთელდა 1023, გარდაიცვალა 16 ( მ.შ 2020 წელს -12, 2021წელს-4), ამჟამად მკურნალობის ეტაპზეა 60 (მათ შორის 9 დედოფლისწყაროს სტაციონარშია, დანარჩენი სახლში გადის მკურნალობას). თვითიზოლაციაში იმყოფება 136 მოქალაქე.

დაიცავით რეკომენდაციები!

დაიცავით და გადაარჩინეთ თქვენი და თქვენი ახლობლების სიცოცხლე!

# მუდმივი სიხარულის ეფექტი

***„გეგმიური სამუშაოების გამო ელექტრომომარაგება დროებით შეიზღუდება“ - ეს ოფიციალურად მიღებული შეტყობინებაა, რომელიც მოსახლეობას ამცნობს, თუ როდის და დროის რა მონაკვეთში გაითიშება ელექტროენერგია. ამას კიდევ ეგუება მოსახლეობა (წინასწარ არის ინფორმირებული და შეგუებული...). უამინდობის შემთხვევაში კი, თუ ინტენსიური წვიმა, თოვა ან ქარი რამდენიმე საათის განმავლობაში გაგრძელდა, აბონენტების უმრავლესობა ელექტროენერგიის გარეშე საათობით რჩება. ამას გარდა, ყოველდღიურად, უამრავ აბონენტს ეზღუდება დენის მიწოდება ე.წ. პროფილაქტიკური სამუშაოების გამო. რატომ ვერ ახერხებს ენერგოდისტრიბუტორი კომპანია დენის უწყვეტ მომარაგებას და ქსელის სრულყოფილ რეაბილიტაციას? ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად გაზეთმა „შირაქმა“ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ კახეთის ფილიალის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სერვისცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს პაატა მენთეშაშვილს მიმართა.***

„დენის გათიშვა დაკავშირებულია ავარიებთან. ქვესადგურის შემთხვევაში პრობლემის მოგვარება სახელმწიფო ელექტროსისტემას ეხება. ჩვენი კი სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“. ბოლოდროინდელი გათიშვები დაკავშირებულია უჯრედის მწყობრიდან გამოსვლასთან. კერძოდ, გათიშვების მიზეზი ქვეწარმავლებს უკავშირდება. ჩვენი თანამშრომლები ყოველთვის ცდილობენ ოპერატიულად შეაკეთონ ნებისმიერი დაზიანება. ზოგჯერ სადენები წყდება, ზოგჯერ საყრდენებია შესაცვლელი. ქსელი ზოგადად მოძველებულია. ამასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ დაწყებულია ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის, N34 სადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის შედეგადაც ოთხასამდე აბონენტი უნდა გამრიცხველიანდეს. ბოძები უკვე დამონტაჟდა, ველოდებით სადენებს და მრიცხველებს. როგორც კი შემოვა მასალა, ეს აბონენტები ახალი სადენით და მრიცხველით იქნებიან უზრუნველყოფილნი.ეტაპობრივად მოხდება ქალაქის გამრიცხველიანებაც, რომლის ძირითადი ნაწილიც სარეაბილიტაციოა და საჭიროა, რომ ისინი თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამებოდეს.“ - აღნიშნა პაატა მენთეშაშვილმა.

იმედს ვიტოვებთ, რომ ახლო მომავალში მოხდება ქსელის დაგეგმილი რეაბილიტაცია და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უწყვეტი ელექტროენერგიის პირობებში ცხოვრების საშუალება მიეცემა. არ შეეშინდეთ ამინდის გაუარესების (რადგან შუქი ჩაქრება), არ შეეშინდეთ ელექტროხელსაწყოების მწყობრიდან გამოსვლის, მაცივრებში ჩამომდნარი პროდუქტის გაფუჭების და, რაც მთავარია, ელექტროენერგიაზე მიბმული, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და მტკივნეული პრობლემის, უწყლოდ დარჩენის.



პ.ს ისე, როგორც ყველა ადამიანში უნდა ვეძებოთ სიკეთის საწყისი, ასევე ყოველ ნეგატიურ ფაქტში უნდა ვეძებოთ რაიმე კარგი. ჩვენს შემთხვევაში, რომ არა წყლის და შუქის მოლოდინი, ალბათ, მათი მოსვლის შემდეგ გაჩენილი სიხარულიც გაფერმკრთალდებოდა. ამ მოვლენებს, კი შეგვიძლია, „მუდმივი სიხარულის ეფექტიც“ კი დავარქვათ...

ხათუნა ბენაშვილი

# „ახალგაზრდული იდეა - გზა ცვლილებებისა და განვითარებისაკენ“

***არავისთვის იქნება სიახლე, თუ ვიტყვი, რომ ახალგაზრდობა ჩვენი ქვეყნის წარმატებული მომავლის და განვითარების საწინდარია. რაც უფრო მეტად მოაზროვნე, აქტიური და მოტივირებული ახალგაზრდები ჰყავს ერს, უფრო წინ და წინ შეუძლია მას სვლა. ასეთი ახალგაზრდები კი ჩვენს ქვეყანას და კერძოდ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ნამდვილად ჰყავს. მათი იდეების რეალიზებას კი ხელს „ახალგაზრდული იდეა“ უწყობს .***

„ახალგაზრდული იდეის“ მიზანია ახალგაზრდების (გოგონებისა და ბიჭების) სამოქალაქო ჩართულობისა და მოხალისეობის გაზრდა, ადგილობრივ თემებში არსებული საჭიროებების მოსაგვარებლად. საქართველოში ასპინძის, აჭარის, ახალქალაქის, ახმეტის, ბოლნისის, გაგრის, გალის, გარდაბანის, გორის, გუდაუთის, გულრიფშის, დედოფლისწყაროს, ზემო ბარღების, ლანჩხუთის, მარნეულის, მარტვილის, რაჭის, სვანეთის, სოხუმის, ტყიბულის, ფოთის, ჩოხატაურის, ოჩამჩირის, წალკის, წეროვნის, ხობის და ხონის ახალგაზრდული იდეის კომიტეტები ფუნქციონირებს. სასურველი მიზნის მისაღწევად, ევროპის ფონდი ახალგაზრდული იდეის (Youth Bank) მეთოდოლოგიას იყენებს, რომელიც ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის გაზრდის ხელშემწყობი ინოვაციური მიდგომაა. ახალგაზრდული იდეა გულისხმობს 7-10 ახალგაზრდისაგან (16-25 წლამდე) შემდგარი ჯგუფების, ე.წ. ახალგაზრდული იდეის კომიტეტების, ჩამოყალიბება-გაძლიერებას ტრეინინგებითა და ფინანსური რესურსებით, რათა მათ, თავის მხრივ, თანატოლების მიერ ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად შექმნილი პროექტების შერჩევა, დაფინანსება და მონიტორინგი შეძლონ.

15 ივლისს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მეორე საჯარო სკოლის ეზოში, საქართველოს ახალგაზრდული იდეის წარმომადგენლებმა ერეკლე მოდებაძემ, ანა ნასრაშვილმა, სოფიო გიგოლაშვილმა და ანა ჩუთლაშვილმა, დედოფლისწყაროში განხორციელებული პროექტები მათი ავტორების თანხლებით შეაჯამეს და დამსწრე საზოგადოებას იმ სასიკეთო შედეგებზე ესაუბრნენ, რაც თითოეულმა განხორციელებულმა პროექტმა ავტორებს, თემსა და შესაბამის ბენეფიციარებს მოუტანათ. **„ევროპის ფონდისა და USAID დაფინანსებით „ახალგაზრდულ იდეა“ სხვადასხვა ტიპის პროექტების განხორციელებას უწყობს ხელს. მთლიანობაში „ახალგაზრდულ იდეას“ 10-ზე მეტი კომიტეტი აქვს საქართველოს ფარგლებში, სადაც მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს ახალგაზრდების მუშაობა. პანდემიის ფონზე წელს საკმაოდ რთული წელი გვქონდა, მაგრამ „ახალგაზრდულმა იდეამ“ მაინც შეძლო პროექტების დაფინანსება. საერთო ჯამში დედოფლისწყაროში 4 პროექტი დაფინანსდა: სკოლის გარემო ჩვენი სიამაყეა (სკოლის ეზოს გამწვანება), კლასი ღია ცის ქვეშ, ჯანსაღი თობა 21-ე საუკუნეს (სასკოლო სპორტული ინვენტარის შეძენა) და ქიმიის ლაბორატორია. 2 პროექტი იყო ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის (სკოლის გარემო ჩვენი სიამაყეა, ჯანსაღი თობა 21-ე საუკუნე), ერთი პირველი ( ქიმიის ლაბორატორია), და ერთიც მეორე საჯარო სკოლის (ღია ცის ქვეშ კლასი). ახალგაზრდებს ვეხმარებით მათ გარშემო არსებული პრობლემების მოგვარებაში. 16-დან 25 წლამდე ახალგაზრდებს, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერი იდეა შეუძლიათ წარმოადგინონ და კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, პროექტი 800 ლარით დაუფინანსდებათ, რომლის შინაარსიდან და ხარისხიდან გამომდინარე, შეიძლება თანხების დამატებაც. პროექტის გეგმის მიხედვით, ყველაფერი კონტროლდება. დღეს ჩვენ რეგულაციების მაქსიმალური დაცვით შევძელით მოკლედ შეგვეჯამებინა განხორციელებული პროექტები. გარდა გრანტებისა და დაფინანსებებისა, აღსანიშნავია, რომ „ახალგაზრდული იდეა“პანდემიამდე აქტიურად ეხმარებოდა შემწეობამოკლებულ მოხუცებს სათნოების სახლში, მიგვქონდა მათთან ტანსაცმელი, ტკბილეული, საჩუქრები. გარდა ამისა, გვქონდა სხვადასხვა სახის აქტივობებიც. პანდემიის გამო ეს ბოლო წელი მხოლოდ პროექტების დაფინანსებით შემოვიფარგლეთ, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ წინა წლების პრაქტიკა კვლავ აღდგება და ყველა ისევ აქტიურად ჩაერთვება მუშაობაში“** - აღნიშნეს ახალგაზრდული იდეის წარმომადგენლებმა.

თითოეული პროექტის ავტორმა კიდევ ერთხელ, დეტალურად ისაუბრა პროექტის შინაარსზე, მათ მნიშვნელობაზე თემში და ახალგაზრდებში, იმ სარგებელზე რაც თითოეული პროექტიდან მიიღეს. რა თქმა უნდა, განხორციელების პროცესში პრობლემებიც იყო, რადგან პანდემიამ თავისი კვალი ყველა სფეროს დაამჩნია. თუმცა, თითოეული პროექტი მაინც წარმატებული აღმოჩნდა, რაც მეტი სტიმულის მიმცემი გახდა იმათთვის, ვინც აქამდე ყოყმანობდა და ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტათ ნაბიჯის გადადგმა სამოქალაქო ინიციატივების გამოჩენისკენ.

ირინა თეთვაძე **„ქიმიის ლაბორატორიის“ პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ქიმიის მასწავლებელი, პირველი საჯარო სკოლა: „მინდა მადლობა გადავუხადო „ახალგაზრდული იდეის“ წევრებს ამ ყველაფრისთვის. ნამდვილად იგრძნობოდა მათი გვერდში დგომა. ყველანაირად ინფორმირებულები ვიყავით, რა, როდის და როგორ უნდა გაგვეკეთებინა. პროექტის საჭიროება ჩვენი ახალი ლაბორატორიისთვის აღჭურვილობის არქონამ გამოიწვია. არ გვქონდა რეაქტივები. გადავწყვიტეთ, რომ ამ პროექტის ფარგლებში ეს პრობლემა მოგვეგვარებინა. ბავშვებმა გაწერეს პროექტი, დაასაბუთეს მისი საჭიროება, შესაბამისად ყველა კრიტერიუმი დავაკმაყოფილეთ და პროექტმაც გაიმარჯვა. მეტად ჩართვნენ ახალგაზრდები სკოლისა და თემის ცხოვრებაში, პროექტმა დამატებითი აქტივობებისთვისაც მოგვცა ასპარეზი, რითაც არაფორმალური განათლება უფრო პოპულარული გახდა და ახალგაზრდებიც დაინტერესდნენ. ჩავატარეთ ქიმიის ფესტივალი. მდგრადობისთვის ასევე შეიქმნა ქიმიის კლუბი. გაიწერა აქტივობები და სექტემბრიდან უკვე აქტიურად შევუდგებით მუშაობას. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ამ ახალგაზრდებს და განსაკუთრებით ჩვენი სკოლის მოსწავლეებს, ასეთი შრომისთვის“.**

ნონა ტოკლიკიშვილი, **პროექტ „კლასი ღია ცის ქვეშ“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, , მეორე საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი: „მეორე საჯარო სკოლა აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა პროექტებში, აქტივობებში. უნდა ითქვას, რომ ჩვენ უკვე დიდი ხანია რაც დავნერგეთ არაფორმალური განათლება. ეს იდეაც სწორედ ბავშვებიდან წამოვიდა, რომ გვქონოდა კლასი ღია ცის ქვეშ, რაშიც პანდემიამ თითქოს „ხელიც შეგვიწყო“. ადრე დაბადებული იდეა, ამ პერიოდში განვახორციელეთ და რეგულაციების დაცვით ვატარებთ გაკვეთილებს, რაც სასარგებლოსთან ერთად სახალისოცაა და ბავშვებიც უფრო მეტი ხალისით და ენერგიით ელოდებიან აქ ჩატარებულ აქტივობებს. მართალია სხვანაირად უნდა მოწყობილიყო ეს გარემო, მაგრამ გარკვეული ცვლილებების შემდეგ ასეთი სახით მივიღეთ ეს დამატებითი სასწავლო სივრცე. გარდა გაკვეთილებისა, აქ იმართებოდა სხვადასხვა ტიპის აქტივობები, დებატები, კინოჩვენებები, განხილვები და ა.შ. მართალია, გვქონდა პრობლემები, მაგრამ ისინი მალევე მოგვარდა და ყველაფერი კარგად დასრულდა. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა „ახალგაზრდულ იდეას“ და ჩვენს ბავშვებს გაწეული შრომისთვის“.**



სამოქალაქო ჩართულობის და მოხალისეობის კულტურის გაძლიერების მიზნით, ევროპის ფონდი წაახალისებს ახალგაზრდების მიერ თემთაშორისი ინიციატივების განხორციელებას. გარდა ამისა, ფონდი გეგმავს, უფრო აქტიურად ჩაერთოს ეროვნული ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებაში, რათა მოხდეს ახალგაზრდული იდეის უფრო ფართოდ აღიარება და მისი სხვა თემებში რეპლიკაცია. მას შემდეგ რაც ახალგაზრდული პოლიტიკის სამოქმედო გეგმა დამტკიცდება, ფონდი საქართველოს მთავრობის მიერ ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას მონიტორინგს გაუწევს.

ქუქუნა ყანჩაშვილი

# ვაჟა-ფშაველა 160

**წელს ვაჟა ფშაველას დაბადებიდან 160 წელი სრულდება. ამ თარიღს „თბილისი — წიგნის მსოფლიო დედაქალაქი" განსაკუთრებული ღონისძიებით ეხმიანება და უდიდესი ქართველი მწერლის შემოქმედებისა და თანამედროვე ხელოვნების საინტერესო სინთეზს გთავაზობთ. ღონისძიების შინაარსი თენგიზ აბულაძის „ვედრების" სიუჟეტს მიუყვება, რომელიც ვაჟა ფშაველას ორ ნაწარმოებს, „ალუდა ქეთელაურსა" და „სტუმარ-მასპინძელს" ეფუძნება. მთავარი ხაზი, ქართული კინომუსიკის ფონზე, ამ ორი ნაწარმოების ფილოსოფიის გაშლა იქნება.**

მუსიკალური ნაწილი ნოდარ გაბუნიასა და სოსო ბარდანაშვილის კომპოზიციებსა და თავად ფილმის მუსიკალურ ბილიკზეა აწყობილი და თანამედროვე არანჟირებითაა წარმოდგენილი. მუსიკას შეასრულებენ გიორგი ცაგარელი, ნიკოლოზ რაჭველი, ნატო მეტონიძე, ძაგარელი & შტრინგს და საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსები. საუნდ დიზაინი — ნიკა მაჩაიძე. საღამოს გახსნის მოწვეული მოდერატორი, ლევან ბერძენიშვილი, რომელიც ისაუბრებს ვაჟა ფშაველას შემოქმედების მნიშვნელობასა და მწერლის მსოფლმხედველობაზე. სტუმრები, ასევე, მოისმენენ უცნობ და საინტერესო ბიოგრაფიულ ფაქტებს ვაჟა ფშაველაზე და ნაწყვეტებს მისი შემოქმედებიდან. ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალია. „თბილისი — წიგნის მსოფლიო დედაქალაქი" UNESCO-ს პროექტია, რომელიც ხორციელდება თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის გენერალური სპონსორია საქართველოს ბანკი. ღონისძიებამდე კი გთავაზობთ, რამდენიმე მოგონებას ვაჟა-ფშაველას შესახებ:

***

ქუთაისში ყოველ წლობით იმართებოდა საღამო ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს. ერთხელ საღამოს გამმართველმა კომი-



ტეტმა გადაწყვიტა, საღამოს მონაწილეთა შორის მოეწვია ვაჟაც და ამით საზოგადოებას გაეცნო იგი. საკითხი დაისვა — რა რიგათ მოქცეულიყო კომიტეტი, რადგანაც ვაჟას რიგიანი ჩოხა-ახალუხი არ აქვსო და ჩამოფლეთილი როგორ დავანახოთ საზოგადოებასო. გადაწყდა ასი მანეთი გაგზავნოდა ვაჟას, რომ შეეკერა ახალი ჩოხა-ახალუხი, ეყიდნა ახალი ფეხსაცმელები ამ ფულით და ისე ჩამოსულიყო.

დანიშნულ დღეს ვაჟა ეწვია ქუთაისს და გამოწყობილი მივიდა პეტრე ყიფიანთან.

— ძალიან გამოჩისტულხარ, ვაჟას ჭირიმე! ეხლა კი ვაჩვენებთ შენს თავს ქუთაისს! — მისებური ხარხარით შეხვდა პეტრე ყიფიანი ვაჟას. ვაჟა კი ოდნავ იღიმებოდა.

საღამოზე სული ამოართვეს პოეტს, იმდენი ლექსები ათქმევინეს. ვაჟაც თავაზიანად ლექსს ლექსზედ ამბობდა და აღტაცებაში მოყავდა ხალხით გატენილი თეატრის დარბაზი. საღამოს შემდეგ გაიმართა ვაჟას საპატივსაცემო ბანკეტი, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. ყველა ქება-დიდებას ასხამდა ვაჟას, მაგრამ ვერასგზით ვერ აალელვეს იგი. მადლობას უძღვნიდა მის მადიდებელთ და იყო ისევ თავდაჭერილი, ყუჩი, განდიდებას აშორებული ვაჟა, რაც მას ამშვენებდა და საყვარელ ადამიანად ხდიდა.

მეორე დღეს, მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ, ვაჟას ქუთაისში ყოფნის სამახსოვროთ, გადაიღო სურათი. საღამოს მივაცილეთ სადგურამდი და გავისტუმრეთ თბილისში. სადგურისაკენ მიმავალმა, სხვათა შორის, მითხრა:

— ახირებული ადამიანია ეს ჩვენი აკაკი! დამიწერა „ენას გიწუნებ ფშაველოო". კაცო, მე ამ ჩემი ენით მომწონს თავი, თორემ სხვა რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში! თუ ენაც დასაწუნია, მაშ აღარაფერი ყოფილა და ბარემც ასე სთქვი პირდაპირ და ის იქნება! უცნაური კბენა იცის ხოლმე! – ამას საოცარი გულისტკივილით ამბობდა დიდებული ვაჟა.

საოცარი იყო ეს ადამიანი იმდენი ქებადიდება, მოწონება ესმოდა, მაგრამ იგი ისევ უბრალო, თავმდაბალი ვაჟა იყო; საყვარელი ვაჟა, გაჭირვებაში მყოფი, ვაჟკაცურად მებრძოლი ამ გაჭირვებასთან, რომელშიაც კიდევაც დალია თავისი კურთხეული სული.

*|დავით კლდიაშვილი|*

* * *

ვიდრე საავადმყოფოში დაწვებოდა ვაჟა, მანამდე ძმასთან, სანდროსთან იწვა და წამლობდა.

უნდა ითქვას ძმათა რაზიკაშვილებზე, რომ დიდი სიყვარული ჰქონდათ ერთმანეთისა და დიდ პატივსა სცემდნენ ყველანი ვაჟას; მეტადრე თედო და სანდრო.

ისევ სანდროსას იყო ვაჟა, რომ რაღაცა წამლის შესაკვეთად შევედით ვარლამ ახვლედიანის აფთიაქში, რეცეპტი მიელო ვარლამმა და უთხრა, რომელ საათზედაც იქნებოდა წამალი, ხოლო ფულის გამორთმევა არ მოინდომა: თქვენისთანა იშვიათ ხალხს ფულს არ ვართმევთო.

– გლახობას ნუ შემაჩვევთ! როცა მაქვს ფული, წამალი მუქთად რად უნდა წავიღოო, – უთხრა ვაჟამ და ამაყად გადაუფრიალა სამმანეთიანი. – ის უფრო საწყენი იქნება ჩემთვის, რომ ფული არ აიღოთო.

პურის ჭამაში ვაჟამ ხანდახან ქილიკაობაც იცოდა. ღვარძლიანი კი არ იყო, ისე უბრალოდ, კუდმოსაწველად, გასაცინად თუ იტყოდა ქილიკ სიტყვას.

ერთ ზაფხულს თურმე მუშტაიდან ახლოს ბაღ „ალაზნის ველში" შევიდნენ სავახშმოდ: ვაჟა, ბაჩანა, მასწავლებელი თუში ვანო ბუქურაული და კიდევ სხვები.

ბაღს შუაში განიერი რუ ჩაუდიოდა. ბაჩანა, მიუხედავად თავისი სიჯმუხისა, ძალიან ფიცხი და მარდი კაცი იყო, ამასთან ღონიერიც. გული სულ მუდამ ერჩოდა. მოინდომა ამ რუზე გადახტომა. გადგა შორს და თქვა: ალაზანზე გადავმხტარვარ (თუმე მთაში ზოგან ისე ვიწროდ მიდის ალაზანი, რომ კაცს ადვილად შეუძლია ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადახტომა) და აქ რაღა დამემართება, რომ ვერ გადავხტეო. თქმა და გაქანება ერთი იყო, მაგრამ მეორე მხარემდე ვერ უწია და ნაპირში ჩავარდა. რასაკვირველია, გაიწუწა. შუა ვახშამზე ვაჟამ უთხრა: „ბაჩანო, გიხდება შუაღამისას ალაზანში თევზის ჭერაო?!"

ხანდახან ქალაქგარეთ, ვერის ბაღებს ზემოთ, ეგრეთ წოდებულ „სუხოიას" დუქანშიაც გვიხდებოდა ხოლმე გავლა. დუქანი იდგა მაღლობ, გაშლილ მინდორზე, საღამოობით სულ ერთთავად უბერავდა გრილი ნიავი. ეს, ვგონებ, კოჯრის წყალობით უნდა ყოფილიყო. ვაჟას ყველაზე ძალიან ეს ალაგი მოსწონდა სიგრილის გამო.

აქ ზოგჯერ კიკლი მეზურნე დაგვზვერავდა ხოლმე შორიდან და ჩამოერეოდა ჩვენს კამპანიაში თავის დამქაშ გიგოთი და მედოლით. თავისთავად, ვითომდა პატივსაცემად, ჩაბერავდა დუდუკს. რასაკვირველია, ფულს ვაძლევდით ბოლოს. თითო თალია ჩაბერვა თუ ჯილავი მაშინ იმდენად არაფერი ღირდა და არც ჩვენ გვიჭირდებოდა საერთო ძალით მისი გასტუმრება.

ვაჟას რომ აღეძვრებოდა ხელ-ფეხის გაშლის სურვილი, გაჩუმებულ კიკლიას გადასძახებდა: „კიკლიაო, კიკლიაო, ჯიბეს კიდევ გიკლიაო!" და გადაუსრიალებდა ვერცხლის მანეთიანს.

კიკლიაც ჩაბერავდა ლეკურს, გულმკერდგადმოვარდნილი, ხელებგაშლილი ვაჟაც გადმოფრინდებოდა მწვანე მოლზე და უსვამდა მსუბუქად ფეხს, ვიდრე არ დაიღლებოდა და არ გადაულოცავდა სხვას. სხვაც ჩვენი თუში მასწავლებელი ვანო ბუქურაული იყო, რომელიც თავისი ანწუხურით გლეჯდა იქაურობას და ბდღვირს ადენდა მართლა მძლავრი და მოხდენილის ლეკურით მწვანე ბალახს. სხვების ლეკური ანგარიშში არ არის ჩასაგდები.

*|შიო მღვიმელი|*

### „შვლის ნუკრის ნაამბობის" თავგადასავალი

ერთხელ, 1885 წელი იყო მაშინ, ილია ჭავჭავაძემ ვაჟა-ფშაველა დაიბარა და შეეკითხა:

- სულ ლექსებს რომ სწერ, რატომ მოთხრობას არ დასწერ?..

- დაწერილი მაქვს „შვლის ნუკრის ნაამბობი", - მიუგო ვაჟამ, - მაგრამ „ნობათის" რედაქტორმა ღულაძემ მთელი ორი წელიწადია, არ აღირსა დაბეჭდვა.

- მე მომიტანე ეგ მოთხრობა, - უთხრა ილიამ.

- ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ მე იქ მიმსვლელი აღარა ვარ, - მიუგო ნაწყენმა ვაჟამ.



- მაშინ დონ-იაგოს მიხმე... - სთხოვა ილიამ...

პირველი საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი „ნობათი", ყოველთვიური ქართული საბავშვო ჟურნალი, გამოდიოდა 1883-1885 წლებში თბილისში. რედაქტორი-გამომცემელი იყო ანდრია ღულაძე. ჟურნალში იბეჭდებოდა საბავშვო ლექსები, მოთხრობები, მოგონებები, ზღაპრები, წერილები; დართული ჰქონდა გასართობები, ანდაზები, გამოცანები, რებუსები, ნახატები და სხვა. ამ ჟურნალთან თანამშრომლობდნენ რაფიელ ერისთავი, აკაკი წერეთელი, ვაჟა, ეკატერინე გაბაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, მოსე ჯანაშვილი და სხვანი.

ჰოდა, ილია ჭავჭავაძემ ანდრია ღულაძესთან რედაქციაში მიაგზავნა იაკობ მანსვეტაშვილი, რომელსაც მაშინდელი ფელეტონების ფსევდონიმის მიხედვით „დონ-იაგოს" ეძახდნენ.

მივიდა დონ-იაგო რედაქციაში და დაწუნებულ მასალებში გადააწყდა „შვლის ნუკრის ნაამბობს".

გადაიკითხა იაკობ მანსვეტაშვილმა ეს მოთხრობა და თვალზე ცრემლმომდგარმა ჰკითხა ანდრია ღულაძეს:

- ანდრიავ ჩემო, რად არ დაგიბეჭდავს ეს ძვირფასი მასალა?

- Оставьте, пожалуйста! - თვალები გადაატრიალა უფალმა ღულაძემ, - რისი მაქნისია?

- შე სულელო, ამაზედ უკეთესს რას დაჰბეჭდავდი, რასა?! - განცვიფრება ველარ დამალა დონ-იაგომ.

- კარგი, შენი ხათრით, - ხელნაწერი გამოართვა ანდრიამ, გადაფურცლა, გადმოცურცლა, - მხოლოდ ორ თავს გავუშვებ ივნისის ნომერში.

- და მესამე, მეოთხე, მეხუთესა?

- მაგათ კი ველარ, ეს ორი თავიც შენის ხათრით, თორემ...

და მართლაც 1885 წლის „ნობათის" ივნისის ნომერში, სადაც ერთ კრებულად მესამე, მეოთხე და მეხუთე ნომრებია თავმოყრილი, დაიბეჭდა „შვლის ნუკრის ნაამბობის" პირველი და მეორე თავები, მაგრამ მესამე, მეოთხე და მეხუთე თავები - დაუბეჭდავი დარჩა...

ვაჟამ წელიწადში ორჯერ იცოდა ტფილისში ჩამოსვლა: ერთხელ - ახალი წლის წინა დღეებში და მეორედ კიდევ აღდგომის დასაწყისში.

ჰოდა, ერთხელაც, ახალი, 1889 წლის დამდეგს ენახა ილიას ის ნომერი და უსაყვედურა ვაჟას, - რა არის, რომ კარგად დაიწყე და ველარ დაგიბოლოვებია ის შვლის ნუკრის ამბავიო?

- არა, არაო, - იაკობ მანსვეტაშვილმა დაასწრო ვაჟას, - მე ძლივს დავაბეჭდინე პირველი და მეორე თავი, დანარჩენი სამი თავი ჟურნალს გარეთ დარჩაო.

- როგორ თუ ჟურნალს გარეთ დარჩაო? - იწყინა ილიამ და ისევ სთხოვა დონ-იაგოს, - წადი და აქ მომიტანე მთლიანადაო.

იაკობ მანსვეტაშვილმა ისევ გაუარა ანდრია ღულაძეს, მთელი მოთხრობა გამოართვა და ილიას მიუტანა.

ილიამ კიდევ სამი-ოთხი დღის შემდეგ დაიბარა ვაჟა, სანამ ამას წავიკითხავო.

შემთხვევით მეორე დღეს შეიარა ვაჟამ „ივერიის" რედაქციაში.

დაინახა ილიამ, შეიყვანა თავის კაბინეტში და უთხრა:

- შენ იცი, რა დაგიწერია?

- რა დამიწერია? - ფერი გადაუვიდა ვაჟას სახეზე.

- დონ-იაგო შემოვიდეს, დონ-იაგო! - დაიძახა ილიამ და ვაჟას მიუბრუნდა, - ეს ისეთი ნაწარმოებია, რომ ერთი საათიც არ უნდა დარჩეს დაუბეჭდავი!

- შეიძლება, ბატონო ილია? - კაბინეტში შემოიხედა იაკობმა.

- შემოდი, შემოდი! - და დონ-იაგო რომ შევიდა, ხელით ანიშნა ილიამ სკამზე, - ახალი წელი მოდის, აბა, რით უნდა გავახაროთ ჩვენი ბალღები, თუ არა ამ დიდებულის მოთხრობით?

დონ-იაგომ ხელნაწერის სათაურს მოჰკრა თვალი და გაიბადრა:

-მართლაც ბრწყინვალე ნაწარმოებია, ბატონო ილია, მაგრამ საახალწლო ნომერი დაკავებულია მთლიანად. თავად ვაჟას საახალწლო ლექსიც იბეჭდება „გოგოჭურის" ფსევდონიმით.

- ეგ კარგი და, - შეფიქრიანდა ილია, - მომდევნო ნომერი?

- მომდევნო ხუთ იანვარს გამოდის, საახალწლო შესვენება გვაქვს დაგეგმილი.

- ჰოდა, იმ ხუთი იანვრის ნომერში მთლიანად უნდა დაიბეჭდოს „შვლის ნუკრის ნაამბობი", ახალი წლის დღეებია მაინც და...

- კი, ბატონო! - გაუხარდა იაკობს.

1889 წლის 5 იანვრის „ივერიის" მესამე ნომერში მართლაც მთლიანად დაიბეჭდა „შვლის ნუკრის ნაამბობი", რომელსაც თარიღად 1885 წელი ეწერა, მაგრამ სინამდვილეში 1883 წელს იყო დაწერილი.

*|მიხო მოსულიშვილი|*

### ვაჟა-ფშაველას წერილი ოჯახს

ჩემო ჯალაფნო!

ამას წინად წერილი გამოგიგზავნეთ და არ ვიცი მოგივიდათ თუ არა. მე დიდი ავადობა და მწუხარება გამოვიარე, ხოლო დღესდღეობით კარგადა ვარ, მაგრამ ექიმები წამოსვლის ნებას არ მაძლევენ. ამ წერილს ნიკოს ვატან და ყველაფერს დაწვრილებით გიამბობსთ. პეტრეს საქმე გავაკეთე აქ ქალაქში და იმედია დუშეთშიაც გაკეთდებოდა. ასე რომ ამ ბიჭს ისევ დუშეთში დასტოვებენ.

მე ამ ცხრა-ათ დღეზე გავჩნდები მანდა. თქვენ იცით მანდაურობას როგორც შაინახავთ და გაუფთხილდებით. თამარ, სათიბეებს უფთხილდით. თვალი უნდა დაავლოთ ჩქარ-ჩქარა, თორო ხომ იცით ეხლანდელი ხალხის ამბავი. წისქვილი მაშინებდა, იქნება წყალმა წაიღო, და ნიკომ მითხრა ბეკურმა გაამაგრაო, აბა შანაყარი და მოურავი მაგისთანა უნდა! რო მოვალ ერთი დიდი მენდალი მოუტანო წადი-მოდისა.

*მარადის თქვენი ერთგული ვაჟა*
*1915 წ. 11- თიბათვეს*

# ჰაერის დაბინძურება და კოვიდ-19

კოვიდ-19-ის გავრცელების შემდგომ, მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ ჰაერის დაბინძურება სიკვდილიანობის ზრდაზე გარკვეულწილად იმოქმედებდა. არახალია, რომ დაბინძურებულ ადგილებში მცხოვრები მოსახლეობა უფრო მიდრეკილია ქრონიკული დაავადებებისადმი და, შესაბამისად, უფრო დაუცველია COVID-19-ის ვირუსის წინაშე. ჰაერის დაბინძურებას იმუნური სისტემის დასუსტება და სასუნთქი გზების ანთების გამოწვევა შეუძლია, რის შედეგადაც ორგანიზმს უჭირს რესპირატორულ ვირუსთან ბრძოლა.

ეს შესაძლო ურთიერთკავშირი ბევრი ექსპერტისთვის იყო ნათელი, თუმცა ჰარვარდის ბიოსტატისტიკის პროფესორ დომინიჩის ამის სათანადოდ შემოწმების საშუალებაც ჰქონდა. მკვლევართა ჯგუფმა ორი წლის შემდეგ განაცხადა, რომ დაბინძურების დონის ზრდასთან ერთად, მთელი რიგი დაავადებების გამო, ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელიც იზრდებოდა. ეს მიგნება დაემატა უამრავ იმ მტკიცებულებასაც, რომელიც ე.წ. PM2.5-ის — ანუ ატმოსფეროში არსებული 2,5 მიკრომეტრამდე ზომის (ადამიანის თმის ღერზე 30-ჯერ მცირე) მყარი ნაწილაკების — საფრთხეზე მეტყველებდა. ზოგიერთ (მაგალითად, ჭვარტლის) ნაწილაკებს სისხლის მიმოქცევის სისტემაში შეუძლია შეღწევა. მათზე კიდევ უფრო მცირე ნაწილაკები მეცნიერებს გულში, თავის ტვინსა და პლაცენტაშიც აღმოუჩენიათ.

პანდემიის აფეთქებისთანავე დომინიჩიმ და მისმა ჯგუფმა უმალვე გადაწყვიტეს, შეედარებინათ ჰაერის ხარისხის ეროვნული მონაცემები და ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის მიერ ოლქების მიხედვით დათვლილი COVID-19-ით გარდაცვლილთა რაოდენობა. როგორც მოსალოდნელი იყო, ვირუსით გამოწვეული სიკვდილიანობა უფრო მაღალი იყო იმ უბნებში, სადაც PM2.5 ჭარბობდა. მკვლევართა ჯგუფის მიერ დეკემბერში გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, მსოფლიოში COVID-19-ით გარდაცვალების შემთხვევების 15% მყარი ნაწილაკებით დაბინძურებულ ჰაერს მიეწერებოდა. აღმოსავლეთ აზიის ძლიერ დაბინძურებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 27% იყო. დაბინძურებულ ჰაერს გაცილებით მეტი სიცოცხლე ეწირება გაცილებით უფრო დიდი რეგულარობით, ვიდრე ახალ კორონავირუსს.

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) თანახმად, გლობალურად, ჰაერის დაბინძურება წელიწადში დაახლოებით 7 მილიონი ადამიანის ნაადრევი სიკვდილის მიზეზია — ალკოჰოლის მოხმარებაზე — ორჯერ, ხოლო ავტოსაგზაო შემთხვევებზე — ხუთჯერ მეტი. ზოგი კვლევა დაბინძურებას უფრო დიდ მსხვერპლსაც მიაწერს. უმეტესობა გამოწვეულია გარე, ატმოსფერული, ჰაერის დაბინძურებით, დანარჩენი კი, მეტწილად, სამზარეულოების ქურებს მიეწერება. სიკვდილიანობა უფრო დიდია განვითარებად ქვეყნებში (აქედან ნახევარი მხოლოდ ჩინეთსა და ინდოეთში), თუმცა, ჰაერის დაბინძურება განვითარებულ ქვეყნებსაც ევლინება მკვლელად. მსოფლიო ბანკის შეფასებით, ჰაერის დაბინძურების შედეგად გაწეული გლობალური ეკონომიკური ხარჯი ყოველწლიურად 5 ტრილიონ დოლარს აჭარბებს.**

ბინძური ჰაერი ორგანიზმის თითქმის ყველა სასიცოცხლო სისტემას აზიანებს. ის შეიძლება გახდეს ფატალური შემთხვევების 20%-ის მიზეზი — ინსულტიდან დაწყებული, კორონარული არტერიების დაავადებამდე; შეიძლება გამოიწვიოს გულის შეტევა და არითმია, გულის შეგუბებითი უკმარისობა და მაღალი არტერიული წნევა. დაბინძურებას უკავშირდება ფილტვის, შარდის ბუშტის, მსხვილი ნაწლავის, თირკმლის და კუჭის კიბო, ისევე როგორც ბავშვთა ლეიკემია. ის აფერხებს ბავშვთა გონებრივ განვითარებას, ხანდაზმულებში კი ზრდის დემენციის რისკს და პარკინსონის დაავადებით სიკვდილის ალბათობას. უტყუარია მისი კავშირი სიმსუქნესთან, ოსტეოპოროზთან, რეპროდუქციის უნარის დაქვეითებასთან, მუცლის მოშლასთან და სხვ.

რა თქმა უნდა, მხოლოდ დიზელი და ქვანახშირი არ აბინძურებს ჰაერს: მზარდი პრობლემაა PM2.5-ის სიუხვით გამორჩეული შეშის კვამლი ბუხრებიდან და ღუმლებიდან. გასული წლის „ლოკდაუნებმა“ მეცნიერებს მოულოდნელად მისცა შანსი ენახათ, თუ რა ხდება, როდესაც დაბინძურების გარკვეული წყაროები დროებით წყვეტს არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტი და მრეწველობა თითქმის მთლიანად გაჩერებული იყო, ჰაერის ხარისხი არც ისე გაუმჯობესებულა, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა მიიჩნევდა. გზებსა და ქარხნებს მიღმა მონიტორები PM2.5-ის დონის მხოლოდ 16%-იან კლებას აჩვენებდა, აზოტის დიოქსიდი მხოლოდ 33%-ით შემცირდა. როგორც აღმოჩნდა, ხალხის შინ ჯდომის დროს ჰაერის დაბინძურებას განაგრძობდა ერთი დიდი სექტორი — სოფლის მეურნეობა. თანამედროვე ინდუსტრიული სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი მთავარი დამაბინძურებელია. ერთი კვლევის თანახმად, სოფლის მეურნეობა არის PM2.5-ით დაბინძურების უდიდესი წყარო ევროპაში, აღმოსავლეთ აშშ-ში, რუსეთსა და აღმოსავლეთ აზიაში. დიდი ოდენობით ნაკელი და ქიმიური სასუქები გამოყოფენ ამონიუმს, რომელიც ჰაერში არსებულ სხვა დამაბინძურებლებთან შედის რეაქციაში და უმცირეს ნაწილაკებს წარმოქმნის. COVID-19-ით გამოწვეულმა ჩაკეტვამ გასულ წელს დროებით შეანელა მსოფლიო ნახშირბადის ემისია, თუმცა ატმოსფეროში ნახშირბადის შემცველობამ ზრდა განაგრძო და კლიმატის ცვლილების შორეული საფრთხე იმდენადვე გაიზარდა. სამაგიეროდ, PM2.5-ისა თუ აზოტის დიოქსიდის მსგავსი დამაბინძურებლების მცირედი, ლოკალური კლებაც კი ნაკლებ ასთმის თუ გულის შეტევას და ნაკლებ სიკვდილს ნიშნავს.




**ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობით კვლავ ჩინეთი ლიდერობს, თუმცა, ბოლო დროს ქვეყანამ დიდი ნაბიჯები გადადგა საკუთარი ცის გასაწმენდად — რასაც ინდოეთზე ვერ ვიტყვით. ჯანმოს მონაცემთა ბაზაში PM2.5-ის შემცველობით ყველაზე მეტად დაბინძურებული ქალაქების ათეულში ცხრა ინდოეთშია. ადამიანთა მსხვერპლიც თავზარდამცემია: 1,7 მილიონი ადამიანის ნაადრევი სიკვდილი ყოველწლიურად. ჩინეთში მკვლევრები გამაოგნებელ დასკვნამდე მივიდნენ: 2020 წლის დასაწყისში „ლოკდაუნის“ დროს გაუმჯობესებულმა ჰაერმა, ერთი კვლევის თანახმად, 9000 სიცოცხლეზე მეტი იხსნა, მეორე კვლევის თანახმად კი — 24 000, ანუ იმაზე მეტი, ვიდრე COVID-19-მა შეიწირა** (ყოველ შემთხვევაში, ჩინეთის ოფიციალურ სტატისტიკაზე დაყრდნობით, რომელმაც პანდემიის მსხვერპლად 5000-მდე ადამიანი დაასახელა). პირველი კვლევის ხელმძღვანელის, იელის უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგ კაი ჩენის თქმით, მეცნიერებმა უკვე დიდი ხანია იცოდნენ, რომ ჰაერის გაუმჯობესებას სიცოცხლის გადარჩენა შეეძლო, თუმცა ასეთი თვალსაჩინოება შთამბეჭდავი იყო.

საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი გასული საუკუნის სამოციანი წლების ბოლოს დაიწყო. წლების განმავლობაში დაკვირვება წარმოებდა სტაციონარულ არაავტომატურ სადგურებზე. 2013 წლიდან გარემოს ეროვნულმა სააგენტომ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დაიწყო დაკვირვების ქსელის მოდერნიზაცია. საქართველოში ამოქმედდა პირველი ავტომატური სადგური. 2016 წლიდან რეგიონებში, ისევე როგორც დედაქალაქში, დაიწყო არაავტომატური სადგურების შეცვლა თანამედროვე ავტომატური სადგურებით და ამასთანავე, ახალი სადგურების მონტაჟი. 2016 წელს ამოქმედდა ახალი ავტომატური სადგურები თბილისში, ჭიათურასა და ბათუმში, ხოლო 2017 წელს კი - ქუთაისსა და ბათუმში. დღეისთვის საქართველოში უკვე 8 ავტომატური სადგური ფუნქციონირებს.

ავტომატურ სადგურებზე 24 საათის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ატმოსფერული ჰაერის დამბინძურებლების შემცველობის მონიტორინგი. ავტომატური სადგურებიდან ინფორმაციის მოწოდება უწყვეტად მიმდინარეობს, ხოლო არაავტომატური სადგურებიდან კი - თვეში ერთხელ. შემოსული მონაცემების ანალიზის შემდეგ მათი განთავსება ხდება მონაცემთა ბაზებში. ავტომატური სადგურებიდან მიღებული ყოველდღიური მონაცემების გამოქვეყნება წარმოებს სააგენტოს ვებ-გვერდზე: www,meteo.gov.ge მონაცემების დამუშავების შემდეგ მზადდება და ამავე ვებ-გვერდზე ქვეყნდება ყოველთვიური ბიულეტენი, ჰაერის დაბინძურების წელიწდეული და ინდიკატორული გაზომვების შედეგები. გარდა ამისა, აღნიშნული ინფორმაცია ელექტრონულად მიეწოდება ყველა იმ მუნიციპალიტეტს, რომლებშიც ტარდება მონიტორინგი და ასევე, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დადგენის მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე 2015 წლიდან ასევე, წელიწადში ოთხჯერ, ტარდება ინდიკატორული გაზომვები. მეთოდოლოგიის შესაბამისად გარკვეული პერიოდის (ორი კვირა) განმავლობაში სხვადასხვა დასახლებული პუნქტების წინასწარ შერჩეულ წერტილებში წარმოებს ინდიკატორული მილაკების განთავსება. ხდება სხვადასხვა დამბინძურებლებზე (აზოტისა და გოგირდის დიოქსიდები, ოზონი და ბენზოლი) სინჯების აღება. შემდეგ მილაკების ანალიზი ტარდება დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს აკრედიტირებულ ლაბორატორიაში. მიღებული კონცენტრაციების მნიშვნელობების შეფასება წარმოებს ევროკავშირის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდექსებთან ჰარმონიზებული სისტემით.

**„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, ქვეყანაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გაუმჯობესებისთვის უწყვეტად მუშაობს“** - ინფორმაციას უწყების პრესსამსახური ავრცელებს. მათი ინფორმაციით, პროექტის „ქვეყანაში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გაუმჯობესების მიზნით, მონაცემთა დამუშავებისა და მოდელირების შესაძლებლობების გაძლიერება - ფაზა II“ ფარგლებში, სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტისა და სამინისტროს ჰაერის სამმართველოს თანამშრომლებისთვის საერთაშორისო ექსპერტმა ხუთდღიანი ტრენინგი გამართა თემაზე „ჰაერის ხარისხის მონიტორინგის მონაცემების ვალიდაციის პროგრამული უზრუნველყოფის ადაპტირება და ვალიდაციის პროცედურების გამოყენება“. **„აღნიშნულ ტრენინგის საფუძველზე ადგილობრივმა სპეციალისტებმა ამ მიმართულებით ცოდნა გაიუმჯობესეს, რასაც შემდგომ პრაქტიკაში დანერგავენ. პროექტი გაეროს განვითარების პროგრამის მმართველობის რეფორმის ფონდის (UNDP-GRF) ქვე-პროექტის „ქვეყანაში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გაუმჯობესების მიზნით მონაცემთა დამუშავებისა და მოდელირების შესაძლებლობების გაძლიერება - ფაზა II“ ფარგლებში ხორციელდება“**,- აღნიშნულია ინფორმაციაში.

გასულ წლებში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ 2017-2018 წლებში, რამდენ შემთხვევაში გამოვლინდა ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრული კონცენტრაციის გადაჭარბება. ერთი კალენდარული წლის განმავლობაში, თითქმის ყველა დამაბინძურებლის კონცენტრაციები საკმაოდ ხშირად აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმებს სხვადასხვა ლოკაციაზე. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს ქვეყანაში ჰაერის დაბინძურების პრობლემის სიმწვავეს და ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად შესრულების, და მის საფუძველზე, ჰაერის დაბინძურების შემცირების ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვის აუცილებლობაზე მიუთითებს.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება დღევანდელი კაცობრიობის ერთ-ერთი უმთავრესი გარემოსდაცვითი გამოწვევაა. ატმოსფერული ჰაერი ანთროპოგენური და ბუნებრივი წყაროებიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებებით ბინძურდება. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირებისა და პრევენციისთვის, აუცილებელია, არსებული მონაცემებისა და საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, დროული და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას როგორც საკანონმდებლო, ისე პოლიტიკის დონეზე.

**მოამზადა**
ქუქუნა ყანჩაშვილმა

# მარტოობა ჯანმრთელობისთვის უფრო სარისკოა, ვიდრე მოწევა ან ჭარბწონიანობა

> *„უპირველესი მომანიჭეს დაფნა მეფეთა,*
> *იმ დღეს მოვიდა თეთრი თოვლი, და მარტოობა.*
> *გავაღე კარი: თეთრი თოვლი შემომეფეთა,*
> *მივხურე კარი: მარტოობამ დაისადგურა.“*
> *გალაკტიონ ტაბიძე*

ოდესმე თუ გაგჩენიათ გრძნობა რომ მარტო ხართ? რა თქმა უნდა, თქვენი პასუხი დადებითი იქნება. ცხოვრებაში ერთხელ მაინც, ყოველი ჩვენგანი ამ განცდის მსხვერპლი ხდება. სოციალური ფსიქოლოგიის თანახმად, მარტოობა არის სუბიექტური დისკომფორტის შეგრძნება, რომელსაც მაშინ განვიცდით, როდესაც ჩვენი სოციალური ურთიერთობები მოკლებულია რომელიღაც მნიშვნელოვან თვისებას.

მარტოობას თანამედროვე ადამიანის მთავარ პრობლემად თვლიან. მიაჩნიათ, რომ ის უკვე ეპიდემიად იქცა. არის მომენტები ცხოვრებაში, როდესაც თითოეული ჩვენგანი თავს მარტოდ გრძნობს. ეს შეიძლება პრობლემად არა მარტო კონკრეტული ადამიანისთვის, არამედ საზოგადოებისთვისაც იქცეს.

მარტოობა მარტო ყოფნას არ ნიშნავს. მარტოობა გარემომცველ სამყაროსგან განკერძოებაა, ეს გრძნობაა, როდესაც შენს ირგვლივ მყოფები ვერ გიგებენ და ადამიანს არ აქვს სხვებთან ღირებული ურთიერთობები. ე.წ. გართობა მარტოობას არ შველის. თქვენ მარტოსული იქნებით უამრავი ხალხის გარემოცვაშიც კი და პირიქით, შეგიძლიათ იყოთ უაღრესად ბედნიერი, როდესაც ირგვლივ არავინაა. კვლევები ადასტურებენ, რომ ადამიანებისთვის დასვენების ხუთი ყველაზე პოპულარული მეთოდი მარტო ყოფნაა. ხანდახან თქვენ მარტო ყოფნა გინდათ, მაგრამ თუ თქვენ არ გაქვთ საშუალება, რომ იყოთ იმ ხალხთან, ვინც კარგად გიგებთ, მაშინ დაგატყდებათ ხოლმე თავს მარტოობის საშინელი განცდა.

დღეს მსოფლიოში მარტოობის ეპიდემია მძვინვარებს. უკანასკნელ წლებში მარტოობის პრობლემას დიდ ყურადღებას უთმობენ, მაგრამ ეს იმით არ არის განპირობებული, რომ დღეს ადამიანი უფრო მარტოსულია, ვიდრე 10 ან 20 წლის წინ. ის ფაქტი, რომ მარტოსული ადამიანების რიცხვი გაიზარდა, იმან განაპირობა, რომ მსოფლიოს მოსახლეობამაც მოიმატა, სიცოცხლის ხანგრძლივობამაც და ამასთან ერთად, საინფორმაციო-კომუნიკაციური საშუალებების ადამიანები მარტოობისგან იტანჯებიან. მაგრამ კარგი ისიც არის, რომ ეს დროებითი მოვლენაა და ამავდროულად, ყოველთვის არ არის უარყოფითი. მარტოობამ შეიძლება მოგვცეს იმის სიგნალი, რომ გარემოცვა გამოვიცვალოთ, ახალი მეგობრები შევიძინოთ, ან არსებული ურთიერთობები გავაუმჯობესოთ.

“როდესაც თქვენ გწყურიათ - ეძებთ წყალს, როდესაც მარტოობას გრძნობთ - ეძებთ ახლობელი ადამიანების კომპანიას,” - აცხადებენ ფსიქოლოგები. თუმცა, წყალი სასმელად ვარგისი უნდა იყოს... „მარტოობას ჯანმრთელობის გაუარესებამდე მივყავართ“-ამ მითთან დაკავშირებით საქმე ოდნავ რთულადაა. სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ მარტოობა ცუდ გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე - მა-



გალითად, სამჯერ იზრდება კარდიოლოგიური დაავადებები, მცირდება სიცოცხლის ხანგრძლივობა. კი ბატონო, საზოგადოებიდან ამოვარდნილი ადამიანები უფრო დიდი ალბათობით ავადდებიან, თუმცა არის უკუპროცესიც - დაავადებულ ადამიანებს საზოგადოება იზოლაციას უკეთებს. აქ ერთ ფაქტორს შეიძლება გავუსვათ ხაზი - მარტოსულები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას ჯანსაღი ცხოვრების წესს, არ უფრთხილდებიან თავს და აქედანაც მომდინარეობს ჯანმრთელობის პრობლემები.

მთავარია მარტოობა ქრონიკულში არ გადაგივიდეთ. ეს უკვე ცუდია, ამ შემთხვევაში შედეგები მძიმე იქნება - მარტოობამ შეიძლება დაგირღვიოთ ძილი, თავი პესიმისტურად იგრძნოთ, დეპრესიაში ჩავარდეთ. კვლევები გვაჩვენებს, რომ ხანშიშესულთა 50-60 პროცენტი გრძნობს თავს მარტოსულად. მოხუცებულთა უმრავლესობა მარტოსულია. ალბათ ესეც დასაფიქრებელია.

ბევრს საუბრობენ მენტალური ჯანმრთელობის მნიშვნელობაზე, რადგან, ფიზიკურთან ერთად, მენტალურ კეთილდღეობასაც დიდი საფრთხე შეუქმნა პანდემიამ. ეს საფრთხე მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციით გამოწვეული შფოთვა და სტრესის მოჭარბება არაა – რეგულაციების კვალდაკვალ, ბევრ ადამიანს საზოგადოებისგან განცალკევება და მარტო ყოფნა მოუწია. პანდემიის პერიოდში მიღებული რეგულაციების გამო, მსოფლიოში მილიონობით ადამიანი აღმოჩნდა თვითიზოლაციასა და კარანტინის რეჟიმში, როცა ახლობლებისა და მეგობრების მონახულების საშუალება არ ჰქონდათ. ამასთან, სხვადასხვა ადგილას – ქუჩაში, ღონისძიებებზე, მაღაზიასა თუ სამსახურში – ურთიერთობები მაქსიმალურად შემცირდა, ამდენად, მარტოობა ბევრი ადამიანისთვის დიდ პრობლემად იქცა. ამის გამო, ბრიტანეთის ჯანდაცვის ეროვნულმა სამსახურმა (NHS) ეგრეთ წოდებული სოციალიზაციის დანიშნულებების გაცემა დაიწყო, რომელიც, მკვლევრების შეფასებით, “კრიტიკულად მნიშვნელოვანია”.

საქველმოქმედო ორგანიზაცია Mind Cymru მენტალურ ჯანმრთელობაზე პანდემიით განპირობებული შედეგების შესახებ ახლა საპილოტე კვლევას ატარებს. ერთ-ერთი მონაწილე, რომელმაც კარანტინში იზოლირებულად იგრძნო თავი, ამბობს, რომ მარტოობა ჯანმრთელობისთვის უფრო სარისკოა, ვიდრე მოწევა ან ჭარბწონიანობა. როგორც ეს ბრიტანეთის მაგალითზე ჩანს, ქვეყნის მთავრობამ და ჯანდაცვის სექტორმა მენტალური ჯანმრთელობა საგულისხმო გამოწვევად აღიქვა და მასთან გასამკლავებლად ეფექტური გზების ძიება დაიწყო. რადგან პანდემიის ვადები მის ეკონომიკურ-სოციალური შედეგების ხანგრძლივობას არ ემთხვევა, მნიშვნელოვანია, ადამიანებს საკუთარ მენტალურ კეთილდღეობაზე საზრუნავად შესაბამისი სერვისები მიეწოდოთ. მარტოობით გამოწვეული მენტალური პრობლემები პანდემიამდელ პერიოდშიც გავრცელებული იყო, შესაბამისად, მისი გამოწვევა მხოლოდ იზოლაციას არ შეუძლია; მარტოობის მიზეზად შესაძლოა არაჯანსაღი დამოკიდებულებებიც იქცეს.

რა ხდება მაშინ, როდესაც მარტო ყოფნა, თუნდაც დიდი ხნით, პრობლემას სულაც არ წარმოადგენს? არსებობენ თუ არა ადამიანები, რომლებიც ამისგან სიამოვნებას იღებენ? აღმოჩნდა, რომ არსებობენ და სწორედ მათზე წერდა ბერნარდ შოუ: „უნარი, გადაიტანო მარტოობა და მიიღო მისგან სიამოვნება, დიდი ნიჭია.”

მართალია არსებობენ ადამიანები, რომლებსაც მარტოობის შეგრძნება ნაკლებად ან საერთოდ არ აწუხებთ, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის სოციალური ბუნებიდან გამომდინარე მისი კონტაქტი სხვა ადამიანებთან ყოვლად უნიკალურ მნიშვნელობას იძენს, აკმაყოფილებს რა მისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნილებას, სხვა ადამიანებთან ერთად ყოფნის და მათთან ურთიერთობის სურვილს.

**მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა

# წარმატებული ოჯახის თავკაცის არდავიწყება

ჯიმიმაც დაგვტოვა, ალუღიშვილმა, სიკეთით სავსე ადამიანმა და საინტერესო პიროვნებამ. იმქვეყნიურ სამყაროში გადაინაცვლა და იქ დაიდო ბინა.

ჯიმი ალუღიშვილი უდიდესი დანაკლისია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისათვის.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს განყოფილების გამგეობის წევრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბატონი ჯიმის გარდაცვალების გამო და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ მისი ოჯახის წევრებს, ახლობლებს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს.

ბატონი ჯიმის გარდაცვალების შემდეგ ერთხელ კიდევ გადავიკითხე ჟურნალ „რევიუ ჰოროსკოპში“ 2019 წლის ივნისის თვეში დაბეჭდილი წერილი - „ჯიმი ალუღიშვილი იუბილარია“. მკითხველს ვთავაზობ ამ წერილის სრულ ვერსიას:

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს განყოფილებისა და უახლოესი მეგობრების სახელით „მეტრის“ ნომინანტებმა - აბრამ ხარაშვილმა, ლერი და მარლენ კვაჭანტირაძეებმა, ვალიკო გოგილაშვილმა, ვანო ნატროშვილმა, ნანა ჭიჭინაძემ, მარინა ხარაშვილმა, ნაირა გორაშვილმა გაზეთ „შირაქში“ ჯიმი ალუღიშვილს ასეთი სიტყვებით მიულოცეს დაბადების დღე: „პირველ მაისს, ერთ-ერთ გამორჩეულ და ღირსეულ ქართველს, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს დაბადებულ უზადო მშრომელს და ერთგულ ადამიანს, გილოცავთ დაბადების 90 წლისთავს. შენი ცხოვრების დიდ გზაზე ისე იარე, უკან მოხედვის არ შეგრცხვენია. საუკეთესო სპეციალისტმა, დიდი ამაგი დასდე რაიონის მეცხოველეობის განვითარებას. შენი შვილებით და შვილიშვილებით მარტო თქვენი ოჯახი კი არა, რაიონი და სრულიად საქართველოც ამაყობს. ბედნიერი მეუღლეობა გერგო, თეთრად შეაბერდით ერთმანეთს შენ და ქალბატონი ლალი, რომელიც სულ მუდამ მხარში გედგა. გისურვებთ ჯანმრთელობას და მხნეობას, ბედნიერი იყავ შენს დიდ ოჯახთან ერთად, უფალი გფარავდეს!“.

ის კვალიფიციური ვეტექიმი იყო და სადაც კი უმოღვაწევია, ყველგან შესამჩნევი კვალი დაუმჩნევია. ქალაქ დედოფლისწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მთავარი ვეტექიმი, შემდეგ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში რაიონის ვეტლაბორატორიის დირექტორი გახლდათ. მისი მეუღლე ქ-ნი ლალი ამ ლაბორატორიაში მუშაობდა ექიმად და ამავდროულად პროფკავშირების ორგანიზაციის თავმჯდომარე, ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი იყო ამ სფეროში.

1998 წლის 16 აპრილს დედოფლისწყაროს კაფეში „ია“ შეხვედრა მოვუწყეთ საქართველოში სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლენილ წარმატებულ ადამიანებს. მათ შორის იყვნენ ჯიმი ალუღიშვილი და ლალი ბოჭორიშვილი, როგორც „საუკეთესო წყვილი“. ეს დაუვიწყარი შეხვედრა აღბეჭდილია ვიდეოფირზეც. 2015 წლის 25 მარტს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა დაჯილდოება „საუკუნის ლეგენდის“ ნომინანტების: მედეა ამირანაშვილის, მანანა ახმეტელის, ნანი ბრეგვაძის, ნონა გაფრინდაშვილის, გაზეთ „შირაქის“ რედაქტორის ნაირა გორაშვილის და პირველი კერძო მეწარმე (რძის პროდუქტების) ქალბატონ თამარ მოძღვრიშვილის და ახალგაზრდა პროფესიონალების, რომელთა შორის გახლდათ მხატვარი დეიკო ალუღიშვილი, ჯიმი ალუღიშვილის შვილიშვილი. რაც ყველაზე მთავარია, ჯიმი საუკეთესო ქართული ოჯახის თავკაცია. თავის მეუღლე ქალბატონ ლალი ბოჭორიშვილთან ერთად ორი შესანიშნავი შვილი ლია და გია აღუზარდა სამშობლოს, ორივემ უმაღლესი განათლება მიიღო. ლიას ორი შვილი ჰყავს - მაკა და ირაკლი ხუციშვილები. გიასაც ორი შვილი ჰყავს - დეიკო და ანა ალუღიშვილები, ორივე მხატვრები არიან. დეიკოს ნახატები მსოფლიოს პრესტიჟულ საგამოფენო დარბაზებს ამშვენებს. ახლახანს, ნიუ-იორკში მისი ნახატების გამოფენა იყო, რომელსაც დიდი შემოქმედებითი წარმატება ხვდა წილად.

ბატონ ჯიმის 7 შვილთაშვილი: ვახტანგი (ვატო), იოანე, დემეტრე, იოანე, ლიკუნა, კატო და ნინუკა ჰყავს. გიას მეუღლე ლალი და ლიას მეუღლე გელა საკუთარ შვილებად მიაჩნია. საბანკეტო დარბაზში საიუბილეო სუფრას ესწრებოდნენ ოჯახის წევრები და უახლესი ნათესავები მათ შორის, გოგი ნიჟარაძის მეუღლე და შვილი ნინო, აღფრთოვანებული დავრჩი ბატონი ჯიმის შთამომავლობით.

90 წლის ამაგდარი, ქიზიყელი პაპის ძირძველ, ფუძძლიერ და წარმატებულ ოჯახს განგებამ ჯილდოსავით აჩუქა ასეთი ღირსეული შთამომავლობა, როგორც სწორად ნაცხოვრები, სიმართლის ძიებასა და ჯაფაში გალეული წლების საზღაური.

საიუბილეო სუფრას ფონად გასდევდა ჯიმის შვილის გიას, მეუღლის ქ-ნი ლალის და შვილიშვილების და სიძეების მიერ შესრულებული ქართული ჰანგები. მათი სიმღერები ახლაც მესმის ყურში, გულს სალბუნად ედებოდა რევაზ ლაღიძის სიმღერა კინოფილმიდან „საბუდარელი ჭაბუკი, „გულს რად მიკლავ, მე სიცოცხლე ჯერ არ დამიმთავრებია“.

ნანა ჭიჭინაძე,
**დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე,**
**დამსახურებული ჟურნალისტი**

შვილები: ბიძინა, ლია; შვილიშვილები; ილია, ნოდარი, სოლომონი, თინათინი; რძლები: ნინო აროშვილი, მარინა გორბენკო; შვილთაშვილები: ნიკოლოზი, მარიამი, მირასლავა იუწყებიან

ვალენტინა პაპაშვილ-მანგოშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 17 ივლისს, 2021 წელს.

# ყველა დევნილის ოცნება აფხაზეთში დაბრუნებაა

27 ივნისს, თბილისში, ღია ცის ქვეშ 9 აპრილის სახელობის პარკში საზღვრისპირა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თაოსნობით და თბილისის მერიის მხარდაჭერით გაიმართა აფხაზეთიდან დევნილი ქალბატონის, ამავე ასოციაციის წევრის ემა ძანძავას წიგნის „ჩემი ტურფა აფხაზეთის" პრეზენტაცია.

წიგნის შესავალში ავტორი წერს: „ჩემი მოთხრობები, ნოველები და ლექსები აფხაზეთის ტკივილიანი ამბებითაა გაჟღენთილი, მაგრამ ყველგან ჩავაქსოვე დიდი იმედი დაბრუნების, საქართველოს გართიანების.

მე ამჟამად თბილისში ვცხოვრობ, მაგრამ თითქოს ჩემი გული აფხაზეთშია. მიყვარს გალი, სოფელი ჭუბურხინჯი, სადაც დავიბადე და გავიზარდე, ვმუშაობდი ჭუბურხინჯის პირველ საჯარო სკოლაში პედაგოგად, ომის შემდგომ პერიოდში ვმუშაობდი სხვადასხვა გაზეთებში კორესპონდენტად. ყოველთვის სითბოთი და სიყვარულით ვიხსენებ აფხაზეთს, განსაკუთრებით ქალაქ სოხუმს, სადაც სტუდენტობის წლები გავატარე. მიყვარს მისი მოალერსე ალერსიანი, ზურმუხტისფერი ზღვა, მოფარფატე თოლიები, ლამაზი სანაპიროთი და ზღვაში ტოტებჩაშვებული მტირალა ტირიფები, პალმების ხეივნები, თვალწარმტაცი მაგნოლიებისა და მიმოზების სურნელი... ყველა დევნილის ოცნებაა აფხაზეთში დაბრუნება.

ღონისძიების ორგანიზატორი და წამყვანი გახლდათ მწიგნობართა ასოციაციის თანათავჯდომარე **ნანა ჭიჭინაძე**. მან სიტყვა გადასცა ემა ძანძავას, რომელმაც მოკლედ ისაუბრა თავის შემოქმედებაზე და სპეციალური სტუმრის სტატუსით მოწვეულ სტუმრებს საჩუქრად გადასცა პრეზენტაციაზე წარმოდგენილი წიგნები.. წიგნი „ჩემი ტურფა აფხაზეთი" მიმოიხილეს ხელოვნებათმცოდნე ია ხურცილავამ და აღმოსავლეთ მცოდნე ფილოლოგმა, პოეტმა და პუბლიცისტმა ნანი საბანაძემ. ქალთა საბჭოს წევრმა გიგა ლორთქიფანიძის და ფაზისის აკადემიის აკადემიკოსმა ნაზი სარჯველაძემ დამსწრე საზოგადოებას შესთავაზა რომანსი „თეთრი ვარდები".

ქალბატონ ემას მიესალმნენ და ახალი წიგნის გამოცემა მიულოცეს საქართველოს ილია ჭაჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის თავჯდომარემ მანანა გვასალიამ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა ინესა მერაბიშვილმა, თბილისის ოპერის წამყვანმა სოლისტებმა: უმშვენიერესმა სოპრანომ მაყვალა ასპანიძემ, ტენორმა არმაზ დარაშვილმა, ღვაწლმოსილმა ექიმებმა 94 წლის ელეონორა ბაბუნაშვილმა და 87 წლის ეთერ კაპანაძემ, რომელიც 740 გვერდიანი წიგნის „რაც გავიხსენე" ავტორია. ამ წიგნის პრეზენტაცია დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა. ეს წიგნი მიეძღვნა თავისი მშობლების და უდროოდ გარდაცვლილი შვილის ქეთი ფირცხალავას ხსოვნას. ქეთი ვ.ი.ა. „მზიურის" არჩეული პირველი თაობის წევრი იყო. მისი ფოტო გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „ოგონიოკის" ფურცლებზე. ემა ძანძავას ლექსები მხატვრულად წაიკითხა სოფელ ქვემოქედის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულმა დეკლამატორმა, ამჟამად თ.ს.უ. ბიოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის წარჩინებულმა სტუდენტმა, პოეტმა მარიამ ტოხიშვილმა.

აფხაზეთის ომის მონაწილემ შოთა ძაგანიშვილმა წაიკითხა საკუთარი ლექსები. შთამბეჭდავი იყო გალის რაიკომის ყოფილი პირველი მდივნის, საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსმინისტრის ბაკურ გულუას, გალის აგროსამრეწველო გაერთიანების ყოფილი თავჯდომარის გიგლა ძანძავას და გურამ ქაშაკაშვილის აფხაზეთის ომის თვითმხილველების გამოსვლა. ღონისძიებას ამშვენებდა კომპოზიტორთა კავშირის ტრიოს მევიოლინის ქეთევან თავშავაძის მერ შესრულებული ქართველი კომპოზიტორების: რევაზ ლაღიძის და ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებები და ანსამბლ




„ფაზისის" სოლისტის რეზო სალუქვაძის მიერ შესრულებული გულშიჩამწვდომი პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი სიმღერები. დიდი მოწონება ხვდა წილად სიმღერის პრემიერას: „ჩემი აფხაზეთი". ღონისძიება დასრულდა მარიამ ტოხიშვილის მიერ წაკითხული საკუთარი ლექსით „სადღეგრძელო".

მარიკა პოპიაშვილი

# რა ელოდებათ Art-გენი 2021-ის სტუმრებს

**2021 წელს ფესტივალი Art-გენი კოვიდრეგულაციების გათვალისწინებითა და მცირედით განსხვავებული ფორმით გაიმართება. მუსიკალური საღამოები პარასკევს, შაბათსა და კვირას შედგება. ღონისძიება 16 ივლისს თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში „სუხიშვილების" კონცერტით გაიხსნება. შემდეგი დღეების მუსიკალური პროგრამა კი ასეთია: 17 ივლისი - „გაგა ფრანი", 18 ივლისი ჯგუფი Reggaeon, 23 ივლისი - ბენდი „ჩვენებურები" და ლელა ნაყეური, 24 ივლისი - ნინო ქათამაძე. ფესტივალის თბილისის ტურს 25 ივლისს 33ა და ნიაზ დიასამიძე დახურავენ.**

დასკვნით კონცერტებამდე დღის განმავლობაში მოეწყობა ქართული რეწვის გამოფენები, სხვადასხვა რეგიონის ფოლკლორული კონცერტები, ქართული სამზარეულოს კუთხეები. ღონისძიების გენერალური პარტნიორი „ნიკორა" მისულ სტუმრებს სპეციალურად მოწყობილ მოსასვენებელ სივრცეებს შესთავაზებს. გარდა ამისა, მოეწყობა სარეალიზაციო კუთხე, სადაც ნიკორას უგემრიელესი პროდუქციის დაგემოვნება იქნება შესაძლებელი. „ნიკორაში" განმარტავენ, რომ მათთვის ასეთი ეროვნული პროექტის მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშნელოვანია. რადგან ფოლკლორის და თანამედროვე მუსიკის ერთ სივრცეში წარმოდგენით და სხვადასხვა ტიპის აქტივობებით Art-გენს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდებში ფოლკლორის პოპულარიზაციის ხელშეწყობასა და რეგიონებში ფოლკლორული ანსამბლების განვითარების საქმეში. მეორე მხრივ, ფესტივალი არა მხოლოდ ქართული ფოლკლორისა და რეწვის, თანამედროვე საავტორო მუსიკის პოპულარიზაციას უწყობს ხელს, არამედ ქვეყნის რეგიონული განვითარებაშიც დიდ როლს ასრულებს. ამიტომ სადაც ქართული, ეროვნული საქმეა ნიკორა მისი გულშემატკივარი და მხარდამჭერია.




ფესტივალზე ასევე წარმოდგენილი იქნება, ქალაქში ყველაზე გემრიელი ჰოთ დოგ „რუმი", რომელსაც აქამდე „ბრავოს" სახელწოდებით იცნობდნენ ჰოთ დოგების მოყვარულები. რაც შეეხება მიმდინარე წლის რეგიონულ ტურნეს, თბილისის ტურის დასრულების შემდეგ, ის 31 ივლისს პანტიანის ტბაზე გაიმართება.

წელს ფესტივალ Art-გენს 18 წელი შეუსრულდა. წლების მანძილზე Art-გენმა არაერთი ახალი ანსამბლის, ჯგუფის და მუსიკოსის ჩამოყალიბებას და განვითარებას შეუწყო ხელი. ცოცხალი და საავტორო მუსიკის პოპულარიზაციის ფარგლებში მისი დამსახურებით, არაერთი ნიჭიერი მუსიკოსი და ბენდი გაიცნო ფართო აუდიტორიამ. ბევრი ჯგუფისთვის და მომღერლისთვის ერთგვარ ტრამპლინად იქცა. ფესტივალი წელსაც საინტერესო სიახლეებს სთავაზობს მაყურებელს.

# კლასიკური ლექცია-კონცერტები ალტერნატიულ სივრცეში

20 ივლისს დედოფლისწყაროში კლასიკური მუსიკის ლექცია-კონცერტი ჩატარდება. თავად მუსიკოს-შემსრულებლები საინტერესო ფორმით მოუთხრობენ ბავშვებს მუსიკაზე, მუსიკოსებზე, კომპოზიტორებზე, ეპოქაზე, ნაწარმოებებსა თუ ინსტრუმენტებზე. ღონისძიებებს ინტერაქტიული, შემეცნებით-გასართობი ფორმა ექნება.

პროექტი კულტურის სამინისტროს დაფინანსებით კახეთში, გურიასა და სამეგრელოში გაიმართება. მისი მიზანია საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის კლასიკური მუსიკის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, კლასიკური მუსიკით ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და მოსმენის კულტურის განვითარება.

მონაწილეობენ: თბილისის ახალგაზრდული ორკესტრი (თაო, ხელმძღვანელები — მირიან ხუხუნაიშვილი, მიშა მდინარაძე), სიმებიანი კვარტეტი „იბერი" და თბილისის გოგონათა გუნდი ომარ ბურდულის ხელმძღვანელობით.

მუსიკოსები 20 ივლისს საგარეჯოსა და დედოფლისწყაროში, 21 ივლისს სიღნაღსა და ლაგოდეხში, ხოლო 22 ივლისს ახმეტაში ჩავლენ.




## უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

## ნიკოლოზ (ნიკა) ჭუჭულაშვილს!

ჩვენო საყვარელო **ნიკა**, გილოცავთ სკოლის დამთავრებას და დაბადების დღეს! ამ ლამაზ თარიღებთან ერთად, ეროვნული გამოცდების ჩაბარებას და მართვის მოწმობის აღებას. გისურვებთ წარმატებებს მთელი ცხოვრების მანძილზე.

შენი ბიცოლები, დეიდები და ბიძები

მათ სიხარულს და მილოცვას ჩვენც ვუერთდებით, მალე სტუდენტობა მოგველოცოს. გამოცდების ნერვიულობა დაივიწყე და სულ წინსვლა და წარმატებები გქონდეს. ასეც იქნება, შენ ისეთი ჭკვიანი და ნიჭიერი ბიჭი ხარ.

**სიყვარულით:**

თამარ, სოფია და ნინო სანიკიძეები, მაკო გიორგაძე და ალექსანდრე ამისურაშვილი

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 19.07 | | სამშაბათი 20.07 | | ოთხშაბათი 21.07 | | ხუთშაბათი 22.07 | | პარასკევი 23.07 | | შაბათი 24.07 | | კვირა 25.07 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 32 ° | 23 ° | 33 ° | 22 ° | 33 ° | 23 ° | 33 ° | 24 ° | 33 ° | 24 ° | 31 ° | 19 ° | 31 ° | 19 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.